# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



შაბათი, 28 იანვარი, 2012 წელი.

№18 (6895)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ხელისუფლება ოპოზიციაზე კონტროლს აძლიერებს



②

კონტროლის პალატას ყადაღის დადების უფლება პარლამენტის მიერ გასული წლის ბოლოს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით მიენიჭა. კანონის მიხედვითვე, პირს შეუძლია ყადაღის გადაწყვეტილება გაასაჩივროს, თუმცა გასაჩივრება ყადაღის მოქმედებას ვერ შეაჩერებს.

## ჰიპერაქტიური პრეზიდენტის ფსიქოლოგიური პორტრეტი

④



## პარტიების დაფინანსების კანონი შეცვალეთ, სააკაშვილო!

④

## ჩვენი პლანეტა არ განადგურდება?!

⑪



## მწვრთნელს+ჯიგარი=„ქუთაისს“

⑩

იან იუზეფ შჩეპანსკი

## ლანჩი ჰარვარდში



⑥



ქართული სიტყვა - გერმანიიდან

## თეა შურღაია

⑦

ფერადი ფურცლები

◉ არსებობს ეჭვი...

თუკი ხელისუფლება გადაწყვეტს, რომ საარჩევნოდ რომელიმე პარტია ხელს უშლის, მისი გზიდან ჩამოშორება ძალიან მარტივად შეეძლება. ამისთვის მის ქონებას და საბანკო ანგარიშებას დააყადაღებს და, ცხადია, ფინანსების გარეშე ვერც ერთი პარტია ვერ შეძლებს რაიმეს გაკეთებას.

პარტიების და მათთან დაკავშირებული პირების ქონებისა და ფინანსების დაყადაღებისთვის კი პროცედურა არა მარტო მარტივდება, არამედ მთლიანად ერთი ადამიანის — კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის ხელმძღვანელის ხელში გადადის.

მონიტორინგის სამსახურის უფროსის, ნათია მოგელაძისთვის ამ პრეროგატივის მინიჭებას კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანება ითვალისწინებს.

ბრძანების თანახმად, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონით და „კონტროლის პალატის შესახებ“ კანონით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში, ფიზიკური პირების, იურიდიული პირების, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების ქონებაზე (მათ შორის, საბანკო ანგარიშებზე) ყადაღის დადების შესახებ გადაწყვეტილებას პარტიის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი იღებს.

კონტროლის პალატას ყადაღის დადების უფლება პარლამენტის მიერ გასული წლის ბოლოს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით მიენიჭა. კანონის მიხედვითვე, პირს შეუძლია ყადაღის გადაწყვეტილება გაასაჩივროს, თუმცა გასაჩივრება ყადაღის მოქმედებას ვერ შეაჩერებს.

ეს კი, ცხადია, იმის საშუალებას იძლევა, რომ ხელისუფლებამ საარჩევნოდ მისთვის არასასურველ პარტიას ყველანაირი მოქმედების საშუალება მოუსპოს. მით უმეტეს, რომ ფინანსური მონიტორინგის ხელმძღვანელად ადეიშვილის კადრია დანიშნული და რეალურად მისი გადაწყვეტილების შემსრულებელი იქნება, გვაცნობებს Presage.tv.

ექსპერტი ვახტანგ ხმალაძე ზოგადად ყადაღის დადების რთულ წესზე ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ ამ წესის გამარტივება ძალიან ბევრ კითხვას აჩენს.

# ხელისუფლება ოპოზიციაზე კონტროლს აძლიერებს



„ადრე ასეთი წესი მოქმედებდა, რომ ყადაღის დადების უფლება ჰქონდა სასამართლოს და მეორე, ყადაღის დადების უფლება ჰქონდა საგადასახადო სამსახურს, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ამ პირს აღიარებული ჰქონდა საგადასახადო დავალიანება. ეს იყო და ეს და მიაქციეთ ყურადღება, ერთ შემთხვევაში პირს აღიარებული უნდა ჰქონოდა დავალიანება, მაგრამ არ, ან ვერ იხდის და, მეორე შემთხვევაში, გადაწყვეტილება უნდა მიეღო სასამართლოს. თანაც, საგადასახადო სამსახურის გადაწყვეტილება უნდა წარედგინოს სასამართლოს და ამ წარდგენილი დოკუმენტაციის შემოწმების შემდეგ გადაწყვეტილება გამოაქვს მოსამართლეს. ანუ, ამით აღიარებულია, რომ ყადაღის დადება არის საკმაოდ მძიმე გზა და ეს გზა თვითნებურად არ უნდა იქნას გამოყენებული.

ახლა, თუ შევხედავთ იმას, რომ კონტროლის პალატის რაღაც სამსახურის უფროსს ერთპიროვნულად მიეცა უფლება, ყადაღა დაადოს პოლიტიკური პარტიის ქონებას და ამ კანონიდან გამომდინარე, აგრეთვე იმ პირთა ქონებას, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად არიან დაკავშირებული პოლიტიკურ პარტიებთან, ყოველგვარი ასეთი დაცვა, რაზეც ზემოთ ვისაუბრე, ქრება. აქ უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ე.წ. ლეგიტიმური მიზანი, ანუ მიზანი არ შეიძლება იყოს უსამართლო და ამ მიზნის მიღწევის პროპორციული, თანაზომადი საშუალებები უნდა იყოს. აქ აშკარად არის დარღვეული ეს მიზანი და ასევე დარღვეულია გამოსაყენებელი საშუალებები“, — ამბობს ვახტანგ ხმალაძე.

ამიტომაც, ცხადია, ჩნდება ეჭვი, რომ „ეს უფლება გამოყენებული იქნას სახელისუფლებო პარტიის საკმაოდ მერკანტილური მიზნების სასარგებლოდ“.

ამ საშიშროებაზე ექსპერტები ცალსახად მიუთითებენ და აღნიშნავენ, რომ ამ გადაწყვეტილების მისაღებად ხელისუფლებას არანაირი რეალური მიზეზი არ დაუსახელებია.

საინტერესო კი ის არის, რომ ხელისუფლება ამ გადაწყვეტილების მიზეზად მის მიერვე მიღებულ კანონს ასახელებს.

„ეს გათვალისწინებული იყო იმ კანონში, რომელიც პარლამენტმა მიიღო. ეს არის 34-ე პრიმა მუხლი, სადაც ეს ფუნქციები არის გათვალისწინებული და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კონტროლის პალატაში კარგად იყოს ეს ფუნქციები გამიჯნული კონკრეტული თანამდებობის პირებს შორის და საზოგადოებას ჰქონდეს ინფორმაცია, თუ ვინ იქნება ამ საკითხებზე პასუხისმგებელი“, — ამბობს საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ჩიორა თაქთაქიშვილი და ექსპერტების პოზიციას გაუგებარს უწოდებს.

„ეს არის ჩვეულებრივი უზრუნველყოფის ღონისძიება იმისთვის, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც გათვალისწინებულია გარკვეული სანქციები, მოხდეს ამ სანქციების შესრულება. მოგეხსენებათ, რომ ყადაღა საგადასახადო სფეროშიც გამოიყენება და მისი მიზანია, რომ დავრწმუნდეთ, რომ ის დავალიანება, რომელიც ბიუჯეტის წინაშე გააჩნიათ ორგანიზაციებს, გადახდილი იქნება. პარტიებთან მიმართებაში კი მოგეხსენებათ, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევები არის დაწესებული. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ პარტია კანონს დაარღვევს და ისეთი ტიპის შემოწირულობას მიიღებს, ან დამალავს გარკვეულ ინფორმაციას, ცხადია, მათ უნდა დაეკისროთ შესაბამისი ფინანსური სანქციები და ეს სანქცია შეიძლება იყოს ათმაგი ოდენობა იმ თანხისა, რაც არის ამ დარღვევის საგანი. შესაბამისად, ძალიან ლოგიკურია, რომ როდესაც ჩვენ კანონპროექტს განვიხილავდით, ასევე გავითვალისწინეთ ყადაღის შესაძლებლობა პოლიტიკური პარტიების ანგარიშებთან მიმართებაში და არა მარტო ანგარიშებთან. ყადაღა გამოიყენება ქონებასთან მიმართებაში და, როდესაც კონტროლის პალატას მიენიჭა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა, ბუნებრივია, რომ ყადაღის დაკისრების ფუნქციაც კონტროლის პალატის უფლებად განისაზღვრა“, — ამბობს თაქთაქიშვილი.

მაგრამ მნიშვნელოვანი ის არის, ამ მექანიზმს ხელისუფლება როგორ გამოიყენებს და, თუკი მიმდინარე პროცესებს გავითვალისწინებთ, ძალიან რეალური ჩანს ის ეჭვი, რომ ხელისუფლებისთვის ეს კიდევ ერთი ბერკეტი იქნება ოპოზიციის წინააღმდეგ.

**თეონა ხარაბაძე**

◉ განცხადებები

# აღვკვეთოთ კონტროლის პალატის თვითნებობას ჩვენ წინააღმდეგ?

2012 წლის 25 იანვარს საზოგადოებრივმა მოძრაობა „ქართულმა ოცნებამ“ საქართველოს კონტროლის პალატისაგან მიიღო წერილი, რომლითაც კონტროლის პალატას აქვს უკანონო მცდელობა ხელყოს საზოგადოებრივი მოძრაობის საკუთრება. კერძოდ, კონტროლის პალატა მოითხოვს, რომ საზოგადოებრივმა მოძრაობამ ნებაყოფლობით უარი თქვას მის საკუთრებაში არსებულ 1 100 000 ლარზე, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრება ამ თანხის კონფისკაციით და მისი ათმაგი ოდენობით დაჯარიმებით.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ჩვენი საკუთრების უკანონო ჩამორთმევა და, ასევე, არაგონივრულად და არათანაზომიერად მკაცრი ფინანსური სანქციები, ჩვენ იძულებულნი ვართ ამ ეტაპზე შევასრულოთ კონტროლის პალატის უკანონო მოთხოვნა. თუმცა, უახლოეს დღეებში ვაპირებთ მივმართოთ ჩვენთვის კანონით მინიჭებულ სამართლებრივ ზომებს, რათა აღვკვეთოთ კონტროლის პალატის ჩვეულებად ქცეული თვითნებური და უკანონო მოქმედებები ჩვენს წინააღმდეგ.

საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“
26.01.2012.

# კითხვები, რომლებიც პასუხს ელის

## ე. წ. „მესამე ცენტრის“ შესახებ...

ბოლო დროს ქართულ მედიაში განიხილება საკითხი საპარლამენტო არჩევნების წინ ე. წ. „მესამე ცენტრის“ შექმნის შესახებ.

ბუნებრივად დაისმის კითხვები: ვის ინტერესებში შედის ამგვარი „ცენტრის“ შექმნა? რა ტიპის ელექტორატზე იქნება იგი ორიენტირებული? რამდენად რეალური იქნება ამ „ცენტრში“ შემავალი პოლიტიკური ორგანიზაციების ოპოზიციური განწყობები და მიზანდასახულობა? ვის პოზიციებს განამტკიცებს „ცენტრი“ როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ისე უშუალოდ არჩევნების დღეს და სხვ.

ვფიქრობთ, „მესამე ცენტრის“ შექმნა არა მარტო ხელს აძლევს ხელისუფლებას, არამედ, შესაძლებელია, ღიად თუ შენიღბულად სწორედ ხელისუფლება გამოვიდეს მისი შექმნის ინიციატორად, ხოლო წინასაარჩევნო პერიოდში სწორედ ამ „ცენტრს“ შეუქმნას ხელსაყრელი გარემო (ფინანსური და ორგანიზაციული ხასიათის პირობები, მედიაში სრულფასოვანი მისაწვდომობა და სხვ.ძ. ამით ხელისუფლება შეეცდება ერთბაშად რამდენიმე მიზანს მიაღწიოს: როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე შექმნას საარჩევნო სუბიექტთა თანასწორუფლებიანობის იმიტაცია, დააბნიოს ოპოზიციურად განწყობილი ელექტორატი და გააღვივოს მასში არჩევნების მიმართ უნდობლობა და ნიჰილიზმი, დაქსაქსოს ოპოზიცია და წინასაარჩევნო დებატებით დაასუსტოს მისთვის საბედისწერო პრობლემად ქცეული საარჩევნო კოალიცია, წაართვას (განსაკუთრებით მაჟორიტარულ არჩევნებშიძ რეალური პერსპექტივის მქონე ოპოზიციურ ძალას გარკვეული რაოდენობის ხმები და სხვ.

ჩვენი აზრით, შექმნილ ვითარებაში ასეთ „ცენტრს“ ისედაც არა აქვს რამდენადმე სერიოზული საარჩევნო წარმატების შანსი და იგი, ადვილი შესაძლებელია, ნებსით თუ უნებლიეთ მხოლოდ ხელისუფლების მიზანთა განხორციელების დროებით ინსტრუმენტად გადაიქცეს, რისი მაგალითებიც უახლეს ისტორიაში არაერთხელ გვქონია.

„ქართული აკადემია“
26.0|.2012.

◉ წკეპლიკა

# სტრასბურგიდან თბილისისკენ მომავალნო რვანო...

**მიხეილი, გოკა, აკაკი, ჩიორა, დავითი, პაატა და მაგდა — დიდებული შვიდეული! ეს ხომ არის შვიდი — ზედაც პეტრე „დიდი“? ანუ ცისკარიშვილი, დელეგაციის ხელმძღვანელი? ხომ გამოვიდა შთამბეჭდავი რვიანი?**

ჰოდა, სწორედ შთაბეჭდილების ქვეშ მყოფი, ანუ შთაბეჭდილი ვსვამ კითხვას: თქვე კაი პარლამენტარებო და თქვე დავით ბაქრაძისგან დალოცვილებო, ამხელა დესანტად რომ გადასხმულხართ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიაზე, თქვენგან ისეთი და იმდენი საკეთებელი იქ რა იყო, რომ ორი-სამი დელეგატი ვერ მოუვლიდა და ვერ აუვიდოდა? რაო, ამნაირი, რვაკაციანი „კვოტა“ გქონდათ გამოყოფილი და ასათვისებელი? სპიკერს გაფიცებთ, აქეთობას გონების თვალი გადაავლეთ თქვენს ნამუშევარს და გამოტყდით, სამივლინებო ხარჯებად ღირდა თუ არა...

კი ბატონო, სასიამოვნო მოსასმენი იყო ასამბლეის ახალი პრეზიდენტის ფრანგი ჟან-კლოდ მინონის განცხადება — საქართველოს პრობლემები კვლავ ევროსაბჭოს ყურადღების არეში დარჩება და რუსეთმა ექვსპუნქტიანი შეთანხმება უნდა შეასრულოსო; მით უფრო, რომ ეს განცხადება წარგზავნილმა რვიანელებმა ტელეეკრანიდან ჩვეული ოქროპირობით „დააკომენტარეს“, თანაც ჩრდილოელი მეზობელი კვლავ და კვლავ დაამუნათეს; ოღონდ მსგავსი გამონათქვამები რუსეთს საახალწლო ნაძვის ხეზეც რომ არ ჰკიდია! „საზიდარი“ რომ ისევ იქა დგას და ბორბლებს არ იცვლის!..

აგერ არ იყო — სწორედ მესიე მინონის გამოსვლის დღეს ჩაბრძანდა პრეზიდენტი მედვედევი აფხაზეთში, გაბრძანდა მდინარე ფსოუზე და ახალი საგუშაგო პოსტი გახსნა — დაიწყო ექვსპუნქტიანი შეთანხმების შესრულების სამზადისი...

ასეა თუ ისე, პატივცემულო სტრასბურგში ქართველო დელეგატებო, ჩვენი საცოდავი ხეიბარი ბავშვების სოციალური დახმარება 30 ლარით რომ შეგიმცირებიათ, ეგების თქვენი სამივლინებოსასეირნო თანხებისა და საგრიალო მასშტაბების შეკვეცაზეც დაფიქრდეთ და დასთანხმდეთ...

სტრასბურგიდან თბილისისკენ მომავალნო რვანო, საფრანგეთში თქვენმა ჩასვლამ რუსეთს რამე ავნო? გრიალით გსურთ, ქვეყნის საქმე წინ რომ წაიყვანოთ? მაქვს საბაბი, სიხარულის ცრემლები რომ ვღვარო?..

**ბერდია ბედოიძე**

◉ ინფორმაცია

## სოზარ სუბარის ინფორმაციით, როკ-კლუბის ხელმძღვანელს უშიშროების განყოფილებასთან თანამშრომლობას აიძულებდნენ

„ქართული ოცნების“ მხარდამჭერ ეკატერინე ლემონჯავას, რომელიც რუსთაველის გამზირზე მდებარე როკ-კლუბს ხელმძღვანელობს , შსს-ს უშიშროების განყოფილება თანამშრომლობას აიძულებს, — ამის შესახებ განცხადება ეკატერინე ლემონჯავამ და სოზარ სუბარმა „ქართული ოცნების“ ოფისში გააკეთეს.

სოზარ სუბარის ინფორმაციით, ეკატერინე ლემონჯავა იძულებით წაიყვანეს იქვე, როკ-კლუბის გვერდით მდებარე შენობაში, რომელიც არის შსს-ს უშიშროების განყოფილება და შეურაცხყოფას აყენებდნენ.

— მას ემუქრებოდნენ და მოითხოვდნენ, რომ უშიშროების სამსახურთან ეთანამშრომლა, — განაცხადა სოზარ სუბარმა.

სუბარის განცხადებით, ის და „ქართული ოცნება„ დაიცავენ ეკატერინე ლემონჯავას. ასევე, მან ურჩია საქართველოს მოქალაქეებს, რომ არ შეეშინდეთ ხელისუფლების მუქარების.

— ჩვენ ყველას დავიცავთ, ყველას უფლებები იქნება დაცული. ასევე მინდა ვუთხრა ეკატერინე ლემონჯავას, რომ მას ვერც როკ-კლუბს დაუხურავენ, როგორც ემუქრებოდნენ, — განაცხადა სოზარ სუბარმა.

ინტერპრესნიუსი

◉ აქტუალური თემა

# მარტო სამართლიანი კი არა, სანდოც!

## „ამერიკის პრეზიდენტი ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს მომავალი არჩევნების შესახებ დაელაპარაკება...“



***„თავისუფალი დემოკრატების“ წევრი თეა წულუკიანი Presage.tv-სთან საუბარში აშშ-ის ოფიციალურ პოზიციაზე ამახვილებს ყურადღებას - საქართველოში მომავალი არჩევნები არა მხოლოდ თავისუფალი და სამართლიანი, არამედ სანდო უნდა იყოს. არჩევნების სამართლიანად ჩატარება ყოველთვის არ ნიშნავს სანდოობას და არც უნდა გვჯეროდეს, რომ მის შედეგებს საზოგადოება ყოველთვის ირწმუნებს.***

***რამდენად აისახება საქართველოს ხელისუფლებაზე „ჰუმან რაითს ვოჩის“ ანგარიში, სადაც საქართველოში ადამიანის უფლებათა დარღვევის არაერთი ფაქტია დასახელებული? მოგეხსენებათ, პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ აღნიშნა, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ყურადღებით ეცნობიან ამ დასკვნას, რაც მათთვის საინტერესო ინფორმაციის წყაროა.***

— თქვენ გახსოვთ, ამ რამდენიმე წლის წინათ ქალბატონმა ეკა ტყეშელაშვილმა „ჰუმან რაითს ვოჩის“ ერთ-ერთი დასკვნის შესახებ საუბრისას თავად ამ ორგანიზაციის ობიექტურობასა და პროფესიონალიზმში ეჭვი შეიტანა. ახლა მისი კომენტარის ზუსტ ფრაზებს ვერ ვიხსენებ, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, შინაარსი ასეთი იყო. ამდენად, ნაციონალების დღევანდელი კომენტარი უფრო ადეკვატური და წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ, ალბათ, არ არის გულწრფელი. არა მგონია, ამ დასკვნას მათ მოაყოლონ ეფექტური და ქმედითი ნაბიჯები, მაგრამ იმას მაინც აანალიზებენ, რომ არ შეიძლება ასეთი მნიშვნელოვანი ორგანიზაციების დისკრედიტაცია. „ჰუმან რაითს ვოჩის“ დასკვნა უკიდურესად შემაშფოთებელი და გაბედულია, ვიდრე ადრე იყო ხოლმე.

**— პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის თანახმად, დაუხარჯავი თანხა ან ბიუჯეტში უნდა გადარიცხულიყო, ან პარტიებს როგორმე უნდა დაეხარჯათ. ამიტომ ზოგიერთმა ოპოზიციონერმა ძვირადღირებული ავტომანქანა შეიძინა. რესპუბლიკელების თქმით, მილიონნახევარი ლარი ერთ დღეში უნდა დაეხარჯათ, ამიტომ, სანამ ხელისუფლება თანხას წაართმევდა, სხვა დანახარჯებთან ერთად, მათ ავტომანქანებიც შეიძინეს. თქვენ რაში დახარჯეთ თანხა?**

— შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ჩვენ, „თავისუფალ დემოკრატებს“, ეს თანხა მანქანებში არ დაგვიხარჯავს.

**— შეგიძლიათ გვითხრათ, რაში დახარჯეთ?**

— პირველ თებერვლამდე გვაქვს ვადა და ხარჯთაღრიცხვა რომ დაიდება, გამოჩნდება. ის, რაც მართალია და ყველას ერთნაირად გვეხება, მათ შორის ჩვენც, ისაა, რომ იმ კანონპროექტის გამო, რომელიც უნდა მიელო ხელისუფლებას, ამ ფულის უფრო სწრაფი ტემპით დახარჯვა მოგვიწია, ვიდრე ამას ვსაზღვრავდით და ვგეგმავდით. თუმცა სწრაფი ტემპით ფულის ხარჯვის დროს ეს ფული მთლიანად მოვახმარეთ, ოღონდ ათჯერ უფრო სწრაფად, ინფრასტრუქტურას. კერძოდ, — რაიონებში სტრუქტურების შექმნასა და განვითარებას, უფრო სწრაფი ტემპით იჯარების გადახდას, ვიდრე დაგეგმილი გვქონდა. ერთმნიშვნელოვნად მინდა განვაცხადო, რომ „თავისუფალ დემოკრატებს“ ეს ფული მანქანებში არ დაგვიხარჯავს.

**— ბიძინა ივანიშვილის კოალიციის ფორმატით, როგორ გესახებათ რაიონებში გასვლა, როცა „მიშა-მიშას“ ძახილით ხვდებიან სააკაშვილს, მათ შორის, პატარა ბავშვები?!**

— ირაკლი ალასანია თითქმის ყოველდღიურად არის რაიონებში, მაგრამ, როდესაც იგი რაიონშია, მას არავინ ხვდება „მიშა-მიშას“ ძახილით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ, თუკი ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამდე ირაკლი ალასანია რაიონებში აბსოლუტურ ნიჰილიზმს ხედავდა, დღეს ეს ნიჰილიზმი ივანიშვილის გამოჩენის წყალობით დაძლეულია, ხალხი იმედიანადაა. რაც შეეხება იმ ადამიანებს, ვინც მიშა-მიშას იძახის, ჩვენ არაერთი მაგალითი და ჟურნალისტური გამოძიება ვიცით, რომ ეს ხალხი, როგორც წესი, მოყვანილი და წინასწარ დარიგებულია, როგორც ეს საბჭოთა პერიოდში ხდებოდა.

**— როცა საარჩევნო სიტუაცია დახურულია, მის ფორმირებაში დასავლეთი უშუალოდ ვერ ჩაერევა და მხოლოდ სიტყვიერ დონეზე შემოიფარგლება, არჩევნებისთვის რა პერსპექტივას ხედავთ?**

— რეალური გამოსავალი არის ჩვენში და საზოგადოებაში. დასავლეთი ჩვენს გასაკეთებელს ვერ გააკეთებს. მათ შეუძლიათ, უბრალოდ, თავიანთი განცხადებებით ხელი შეუწყონ დემოკრატიულ პროცესებს. ეს განცხადებები კი უკვე გაკეთდა. აშშ-ის ოფიციალურმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მის ქვეყანას მოლოდინი აქვს - საქართველოში მომავალი არჩევნები იქნება არა მხოლოდ თავისუფალი და სამართლიანი, არამედ - სანდოც. სანდოობა ნიშნავს, რომ, შესაძლოა, არჩევნები იყოს სამართლიანი, მაგრამ საზოგადოებამ უნდა დაიჯეროს და მიიღოს ის შედეგი, რაც დადგება. დასავლეთს მეტი არაფერი ევალება და ნუ მოვთხოვთ იმას, რაც არ ევალება. ჩვენ გვევალება ის, რომ ჩვენს ქვეყანაში დემოკრატია შევქმნათ და ამისთვის პოლიტიკური პარტიები თავიანთ პასუხისმგებლობას იკისრებენ. კერძოდ, სერიოზულ საარჩევნო ადმინისტრაციას შევქმნით. ამაზე მუშაობა უკვე იწყება, რათა დამკვირვებლები უბრალოდ ახლობლები კი არ იყვნენ, როგორც ეს აქამდე ხშირად ხდებოდა, არამედ პროფესიულად მომზადებული ადამიანები, საარჩევნო სისტემაში გარკვეული პირები, რომელთაც შეეძლებათ არა მხოლოდ კვალიფიციური დაკვირვება, არამედ იქ მისული ჩვენი ამომრჩევლისთვის სწორი მიმართულების მიცემა და საჭიროების შემთხვევაში — რჩევაც. დავების მომზადების სისტემა უნდა დაიხვეწოს, ნებისმიერი გაყალბების თუ შეცდომის შემთხვევაში, ოპოზიცია უფრო აქტიური უნდა იყოს. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სიები ჯერ დაზუსტებული არ არის. თუ მივაღწევთ იმას, რომ სიები, ასე თუ ისე, უფრო სანდო იყოს, ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რამ იქნება. არჩევნებამდე რამდენიმე თვეა დარჩენილი, მაგრამ დადებითი მომენტია, რომ სიების შემმოწმებელ კომისიაში არიან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და მათთან აქტიურ თანამშრომლობას ვგეგმავთ. მოქალაქეებმაც უნდა იაქტიურონ და არ დახუჭონ თვალი არც ერთ ანომალიაზე, რასაც თუნდაც თავიანთ სამეზობლოში შეამჩნევენ. არც ერთი დემოკრატიული საარჩევნო პროცესი არ იქნება უზრუნველყოფილი მხოლოდ პარტიების მიერ. ეს არსად არ ხდება. სამოქალაქო აქტიურობის გარეშე დემოკრატია არასდროს იქნება.

**— ობამა-სააკაშვილის შეხვედრასთან დაკავშირებით ოპოზიციას გადამეტებული მოლოდინი ხომ არ აქვს, რომ ორი პრეზიდენტი მომავალი სამართლიანი არჩევნების ჩატარების თაობაზე ისაუბრებს?**

— ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი 31 იანვარს ხვდება ბარაკ ობამას. ძალიან ბევრი თემა იქნება განხილული, რომლებიც განიხილებოდა შევარდნაძის დროსაც და განიხილება მომავალი პრეზიდენტის დროსაც, მაგრამ ერთი თემა, რომელიც გამოარჩევს ამ შეხვედრას სხვა შეხვედრებისგან, არის ის, რომ ამერიკის პრეზიდენტი ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს დაელაპარაკება მომავალი არჩევნების შესახებ...

**— საიდან იცით, რომ ობამა ამის შესახებ დაელაპარაკება?**

— ეს თეთრი სახლის განცხადებაში წერია, რომ საუბარი აუცილებლად შეეხება მომავალ არჩევნებს. უსაფრთხოება, ვაჭრობა და სხვა საკითხები, ყველა პრეზიდენტის, ყველა ეპოქის შეხვედრის დროს განიხილება ხოლმე, მაგრამ ამ შეხვედრის მთავარი მნიშვნელოვანი მხარეა, რომ უშუალოდ მომავალ არჩევნებზე ექნება ორ პრეზიდენტს საუბარი. აშშ-ის პოზიცია უკვე ცნობილია და ალბათ, იმავეს გაიმეორებენ სააკაშვილის წინაშეც, რომ მომავალი არჩევნები მარტო კი არ უნდა ჩატარდეს, არამედ უნდა იყოს სამართლიანი და შედეგი სანდო უნდა იყოს მოსახლეობისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, გარკვეული ხარისხის დესტაბილიზაციის საფრთხე გაჩნდეს, რაც პირდაპირ ნიშნავს, რომ ეს საქართველოს უსაფრთხოების პრობლემა შეიძლება გახდეს. ეს არც ჩვენი ხალხის ინტერესებშია, არც იმ სტრატეგიული პარტნიორის ინტერესში, როგორიცაა ამერიკა.

**— თქვენ პოლიტიკაში გენდერული ბალანსის დაცვის თემაზეც მუშაობთ.**

— დიდი ხანია, რაც „ენდიაის“ თაოსნობითა და ხელშეწყობით საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში ქალთა როლის გაზრდის საკითხი განიხილება. ჩვენი პარტია — „თავისუფალი დემოკრატები“ ერთ-ერთია, რომელმაც ხელი მოაწერა დოკუმენტს „ენდიიაში“, რომლის თანახმადაც, „თავისუფალმა დემოკრატებმა“ ვალდებულება აიღეს, თავის საქმიანობაში ქალების როლის გაზრდას შეუწყონ ხელი. თქვენ იცით, რომ, სამარცხვინოდ, ჩვენს პარლამენტში ათი ქალიც კი არ არის წარმოდგენილი, რაც სამწუხაროა, რადგან საზოგადოებას ორი ბუნებრივი ნაწილი აქვს — ქალები და მამაკაცები, რაც არ აისახა ჩვენს საკანონმდებლო ორგანოში.

**— ასეთ პოლიტიკურ სივრცეში, როცა მთელი ბერკეტები ხელისუფლების ხელშია, რას შეცვლიდა თუნდაც მეტი ქალის გამოჩენა პოლიტიკაში? იქნებ, პოლიტიკაში გენდერული ბალანსის დაცვის იდეა, უბრალოდ, მომხიბვლელია?**

— ქალი ქალია, მიუხედავად იმისა, ის ნაციონალია, თავისუფალი დემოკრატი, თუ ახალი მემარჯვენე. ქალების უმრავლესობა, ვინც ჩართულია პოლიტიკურ პროცესში, ძალიან აქტიური, პოლიტიკურად მომზადებულია, მაგრამ ჩვენი პარტიის მაგალითზეც შემიძლია გითხრათ, რომ ქალები არიან ძირითადად რაიონულ დონეზე. ხოლო იქ, სადაც გადაწყვეტილებები მიიღება, ძირითადად მამაკაცები ჭარბობენ. ეს კი უნდა შეიცვალოს. ჩვენს პარტიაში ხელმძღვანელობის დონეზე ეს ბალანსი, ასე თუ ისე, დაცულია, მაგრამ ჩვენს პოლიტსაბჭოში მხოლოდ ორი ქალი ვართ, რაც ძალიან ცოტაა. ამიტომაც მიგვაჩნია, იმისთვის, რომ გადაწყვეტილებები დროსთან შესაბამისი და ადეკვატური იყოს, ამისთვის აუცილებელია რომ ამ გადაწყვეტილების მიღებაში მხოლოდ მამაკაცები კი არა, ქალებიც მონაწილეობდნენ.

**მანანა ნოზაძე**

◉ მოვლენის წინ

## სიმბოლური ბარათი აშშ-ის პრეზიდენტს

**თქვენ, მისტერ ბარაკს, გიგზავნით ბარათს, ვითა ჩვენს იმედს, უჭკნობს და მარადს...**

**ბატონო ბარაკ, 30 იანვარს, თქვენი თეთრი სახლის ოვალურ დარბაზში, საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს უნდა შეხვდეთ; რომ იცოდეთ, უკვე რა აჟიოტაჟია ქართულ სახელისუფლებო ტელეარხებზე ამ ვიზიტის გარშემო და რამხელა გამარჯვებად მიიჩნევენ თქვენს მიწვევას მმართველი პარტია და პირადად იმისი ბელადი, იგივე მიხეილ სააკაშვილი... მსოფლიოს ერთ-ერთი უძლავრესი ქვეყნის მმართველსა და მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს პოლიტიკოსს ჩემი სარჩევი და ჩემგან ჭკუის სასწავლებელი რა გჭირთ, ამიტომ ეს მხოლოდ თხოვნად მიიღეთ მამათქვენის ტოლი კაცისაგან: ბატონო ობამა, მამაშვილობამა, ისეთს ნურაფერს ეტყვით თქვენს მაღალ სტუმარს და მით უმეტეს, ნუ დაჰპირდებით, რომ მერე მთელი დარჩენილი წლის სიგრძეზე აქ, ჯორჯიაში ყურები წამოგვჭამონ, გვეტრაბახონ, გვაყვედრონ და გვამადლონ ეგ 30 იანვრის შეხვედრა; ისედაც მობოლებულები ვართ, ამდენი მობოლებისაგან ისედაც ყურები გვიწივის და თვალები გვეწვის და თქვენი შეხვედრის შემდგომ გასამმაგებულ, გაათმაგებულ აქაურ აჟიოტაჟს ნამდვილად ველარ გავუძლებთ, ველარ გადავიტანთ, ცოდო ვართ, ცოდო... ღმერთი ფარვიდეს აშშ-სა და იმის სახელგანსმენილ პრეზიდენტს, მისტერ ბარაკ ობამას!**

**ულრმესი პატივისცემითა და დიდი იმედით, რიგითი**

**ბერდია ბედოიძე**

◉ ჩვენი პრესდაიჯესტი

[illegible]

### თბილისის საბავშვო ბაღებში ძიძის შტატი გაუქმდა

თუ მათ ადრე ერქვათ აღმზრდელის თანაშემწე, ანუ ძიძა, დღეს ჰქვიათ დამლაგებლები და ასე მუშაობენ. საბავშვო ბაღებში აღმზრდელის თანაშემწეები, ანუ ძიძები დამლაგებლებად ჩამოაქვეითეს, დამლაგებლები კი სამსახურიდან გაუშვეს.

### ჰიბრიდული სიმინდის ექსპორტის პროგრამა სამარცხვინოდ ჩაფლავდა

ჰიბრიდული სიმინდის მოსავალმა მოსახლეობას იმედი საბოლოოდ გადაუწურა. ჯერჯერობით უცხოურ ბაზარზე 1 კგ. სიმინდიც არ გაუტანიათ. ცენტრალური უწყების წარმომადგენელთა დაპირება, რომ მოწეული პროდუქციის ექსპორტს განახორციელებდნენ და სიმინდს მომგებიან ფასად გაყიდდნენ, არ გამართლდა.

**„რეზონანსი“.**



### კონტროლის პალატა „ქართულ ოცნებას“ თვალთმაქცობაში ადანაშაულებს

კონტროლის პალატის ვებგვერდზე გამოქვეყნებული განცხადებიდან ვიგებთ, რომ „ქართული ოცნების“ ანგარიშზე კიდევ ერთი კანონდარღვევაა. პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი ნათია მოგელაძე „ქართულ ოცნებას“ „თვალთმაქცურ გარიგებებში“ ადანაშაულებს.

### ფსბ-მ ძამბოლატ თედეევი დააკავა

ოსური ოპოზიციის ლიდერ ძამბოლატ თედეევს ზედმეტი პოლიტიკური აქტიურობა შეიძლება ძალიან ძვირი დაუჯდეს. 25 იანვარს დილით მოსკოვში მის საცხოვრებელ სახლში სპეცდანიშნულების რაზმ „ალფას“ წევრები შეიჭრნენ. მას ბრალად სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა ედება.

**„ახალი თაობა“.**

№18. შაბათი, 28 იანვარი, 2012 წელი.

◎ სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია...

# ჰიპერაქტიური პრეზიდენტის ფსიქოლოგიური პორტრეტი



**ხელისუფლების აქტიურობისა და ოპოზიციის პასიურობის მიზეზებზე, იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს პრეზიდენტის აქტიურობა პოტენციურ ამომრჩეველზე, აგრეთვე, საქართველოს ამომრჩეველთა ფსიქოლოგიური პორტრეტის თავისებურებებზე, „ინტერპრესნიუსი" ფსიქოლოგ ნოდარ სარჯველაძეს ესაუბრა**

**— ბატონო ნოდარ, საპარლამენტო არჩევნებამდე საკმაოდ დიდი დროა, მაგრამ თუ ქვეყანა არა, სატელევიზიო ეთერი კარგა ხანია საარჩევნო რეჟიმზეა გადასული. საჯარო პოლიტიკაში ხელისუფლების უპირატესობა აშკარაა. თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი, ზოგადად, ოპოზიციის პასიურობა, ის, რომ ტელევიზიები ოპოზიციის აქტიურობას სათანადო დროს არ უთმობენ, თუ ის, რომ ხელისუფლების ალტერნატივად მიჩნეული „ქართული ოცნება" მოლოდინის რეჟიმში რჩება?**

— ალბათ, ყველაფერი ერთად. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ საარჩევნო თვალსაზრისით, ყველაზე აქტიური ფიგურა პრეზიდენტია. მას ბევრი იმას საყვედურობს, რომ რეგიონებში წარამარა დადის, ლამის ყოველდღე საავადმყოფოებს ხსნის, ტელევიზიით, თითქმის ყოველდღე, ყველა გამოშვებაში ნახევარ-ნახევარი საათით აჩვენებენ. ასეთ ვითარებაში კითხვის დასმა სხვაგვარადაც შეიძლება — შეუძლია თუ არა სააკაშვილს არ იმოქმედოს ისე, როგორც ახლა მოქმედებს და იმოქმედოს სხვაგვარად? ჩემი პასუხი ასეთია — პრეზიდენტს არ შეუძლია სხვაგვარად მოქმედება, არ შეუძლია არ იყოს ჰიპერაქტიური. რატომ? საქმე ის გახლავთ, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მან პრეზიდენტის ამგვარი მოქმედება თავად დაამკვიდრა და ახლა თავის მიერვე დამკვიდრებული ჩვევების ტყვეობაშია. საქმე ისიცაა, რომ ახლა იგი ამას ვერ გადაეჩვევა და პირიქით, გაზრდის; მიუხედავად იმისა, რომ ეს მისთვის საზიანოც კია, იმ მიზეზით, რომ ადამიანებს ყოველდღე ეკრანზე მისი ყურება მობეზრდათ. მიუხედავად ამისა, ის ამგვარ ქცევას მაინც გააგრძელებს.

სააკაშვილს, სხვა პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, ძალიან ბევრი რამ აქვს დასაკარგი. მისთვის პოლიტიკიდან წასვლა პოლიტიკური სიკვდილის ტოლფასია. მის მიმართ მუქარები არა მარტო პოლიტიკაში არყოფნაზე, არამედ საერთოდ მის არყოფნაზე მოდის. სააკაშვილისადმი დამოკიდებულება ნეგატივის თვალსაზრისით ისეთივე რადიკალურია, როგორც თავად არის რადიკალური საკუთარ ქმედებებში. ასეთ ვითარებაში მას მიაჩნია, რომ მხოლოდ პოლიტიკური აქტიურობით და ხელისუფლებაში დარჩენით შეუძლია საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მისი ჰიპერაქტიურობაც სწორედ ამით აიხსნება. სააკაშვილი ახლა იმ ჰიპერაქტიურ ბავშვს ჰგავს, რომელსაც აქტიურობის გარეშე არ შეუძლია. ჰიპერაქტიური ბავშვი იმიტომ კი არაა ჰიპერაქტიური, რომ მას ასე უნდა, არამედ იმიტომ, რომ მას სხვანაირად არ შეუძლია. ჰიპერაქტიურ ბავშვს რაც არ უნდა უთხრან მშობლებმა, ხოლო პრეზიდენტს — ექსპერტებმა და მრჩევლებმა, ის მაინც ჰიპერაქტიურ პოლიტიკურ აქტორად დარჩება.

**— თქვენი აზრით, რამდენად ეფექტურია პრეზიდენტ სააკაშვილის საჯარო აქტიურობა და როგორ მოქმედებს პოტენციურ ამომრჩეველზე, „ქართული ოცნების" ჩათვლით, მთელი დანარჩენი ოპოზიციის პასიურობა?**

— შეიქმნა ასეთი კონტრასტი — რაც უფრო აქტიურია სააკაშვილი, მით უფრო პასიურია და დინჯად მოქმედებს ის ოპოზიციური ნაწილი, რომელიც ივანიშვილის ბანაკშია. რაც მეტი დრო გადის, ასეთი სურათი იკვეთება — სააკაშვილი დაუღვინებელი მაჭარია. იგი დღემდე მაჭრის მდგომარეობაშია და დაღვინების პროცესში ვერ შედის. ივანიშვილი და მისი გუნდი დაღვინებულია და დინჯად და აუჩქარებლად უძღვება პროცესს.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ მოქმედებს საზოგადოებაზე სააკაშვილის ჰიპერაქტიურობა, დაახლოებით ისეთი ვითარებაა, ბრეჟნევის დროს რომ იყო. ტელევიზორში წარამარა ბრეჟნევს აჩვენებდნენ და ადამიანები თავის ტელევიზორს სხვა არხებზე მანამდე გადართავდნენ, სანამ ბრეჟნევის ჩვენება სავარაუდოდ დასრულებული არ იყო. ადამიანებს უკვე მობეზრებული აქვთ და კიდევ უფრო მობეზრდებათ სააკაშვილი ტელევიზორში. მიუხედავად იმისა, რომ მას ეს უკუეფექტს აძლევს, იგი მაინც არ გაჩერდება. მისი მანქანა სწორედ ამგვარ ქმედებაზეა აწყობილი და მისი გაჩერება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ოპოზიციის პასიურობაა ეფექტური. თუ ოპოზიციის სიდინჯე ასე გაგრძელდა, არც ეს იქნება მისთვის ეფექტის მომტანი. ოპოზიციისთვის უკეთესი ის იქნება, თუ რამდენად მეტად დინჯად გააქტიურდება. ეს ყველა ოპოზიციურ ძალას ეხება.

**— თქვენი აზრით, რამდენად დიდია ალბათობა, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი გადადგება და „ნაცმოძრაობის" საარჩევნო სიას სათავეში ჩაუდგება?**

— ჩემი აზრით, სააკაშვილის მხრიდან „ნაცმოძრაობის" საარჩევნო სიის სათავეში ჩადგომა, ყველაზე ლოგიკური ნაბიჯი იქნებოდა. არჩევნებში დამარცხების შემთხვევაში მას დიდი დანაკარგი ემუქრება. დიდი დანაკარგის თავიდან ასაცილებლად ერთადერთი გზა სწორედ ამგვარი ნაბიჯის გადადგმაა. იმის გათვალისწინებით, რომ სააკაშვილისთვის არჩევნებში დამარცხება კატასტროფის ტოლფასია, ამგვარი ალბათობა საკმაოდ მაღალია. მისი შეთხვევა არ გახლავთ იმ ბერლუსკონის გადადგომა, რომელიც ასაკში იყო. სააკაშვილმა კარგად იცის, რომ არჩევნებში დამარცხების შემთხვევაში მის უკან მხოლოდ უფსკრულია. არ ვიცი რას ურჩევენ მას მრჩევლები, მაგრამ ახლა ყველა ნიშანია იმისა, რომ იგი ყველაფერს გააკეთებს, რომ ამ უფსკრულში არ აღმოჩნდეს. პირადად მე, ძალიან გამიკვირდება, თუ სააკაშვილი „ნაცმოძრაობის" საარჩევნო სიას სათავეში არ ჩაუდგება.

**— როგორ დაახასიათებდით თანამედროვე საქართველოს ამომრჩევლის ზოგად ფსიქოლოგიურ პორტრეტს?**

— ამ თემაზე მოგახსენებთ არა ჩემს მოსაზრებას, არამედ „IRI"-ის კვლევის შედეგებს. ეს კვლევა ერთი წლის წინათ ჩატარდა, მაგრამ ცხადია, რომ ფსიქოტიპი ასე სწრაფად არ იცვლება. ამიტომ ის დღესაც აქტუალურია. მოქალაქეებს ეკითხებოდნენ — **სურთ თუ არა მათ ცხოვრებაში ცვლილებები და მზად არიან თუ არა რამე შეცვალონ?** თუ სურთ, არსებული ვითარების შეგუება? **ვინც ცვლილებას ირჩევს — დაერქვა აქტიური, ხოლო ვინც შეგუებას ირჩევს — პასიური.** მეორე კითხვა ასეთი იყო — იმედიანად ხართ განწყობილი, თუ პესიმისტურად? **ვინც იმედიანადაა განწყობილი — ოპტიმისტები არიან, მეორენი კი — პესიმისტები.** კვლევამ, ამ თვალსაზრისით, ადამიანთა ოთხი ტიპი გამოავლინა — **1. აქტიური ოპტიმისტები, 2. აქტიური პესიმისტები, 3. პასიური პესიმისტები და 4. პასიური ოპტიმისტები.**

აღმოჩნდა, რომ ჩვენს სინამდვილეში მესამე და მეოთხე ტიპი უფროა გავრცელებული, ანუ ისინი, ვინც პასიურები არიან და არაფრის იმედი არ აქვთ და ისინი, ვინც პასიურები და იმავდროულად უსაფუძვლოდ ოპტიმისტები საკმაოდ ბევრნი არიან, ანუ აქტიური ადამიანები და თან ოპტიმისტები, პრაქტიკულად ძალიან ცოტანი არიან. „IRI"-მ საქართველოში ადამიანთა ამ ტიპების გეოგრაფიული გავრცელებაც მოხაზა. თუ აქედან გამოვალთ, ადამიანების დიდ ნაწილს ცვლილებების სურვილი მაინც და მაინც არ აქვს. მეორე ჯგუფის ადამიანებს არც სჯერათ, რომ ქვეყანაში ცვლილებები შესაძლებელია. ასეთი ტიპის ამომრჩეველი ხმას მისცემს არა ცვლილებებს, არამედ არსებულ სტატუსკვოს. დაახლოებით ასეთი ვითარებაა დღესაც.

პოლიტიკურ არენაზე ძლიერი ძალის გამოჩენამ არსებულ სისტემაში რყევები გამოიწვია. თავიდან იმედები ძალიან დიდი იყო, მაგრამ ახლა ამ განწყობამაც საგრძნობლად იკლო. მაგრამ, არჩევნებამდე საკმაოდ დიდი დროა და თუ როგორი იქნება საზოგადოების განწყობა, ძნელი სათქმელია.

**— ხშირად გაიგებთ მტკიცებას, რომ 20 წლის განმავლობაში საქართველოს ამომრჩეველი გაიზარდა. რამდენად შეიძლება გვქონდეს იმის იმედი, რომ ამომრჩევლის პოლიტიკური ცნობიერება და პოლიტიკური კულტურა მნიშვნელოვნად გაიზარდა და პოლიტიკური გემოვნება დაიხვეწა?**

— ჩემი აზრით, განსაკუთრებით არ დახვეწილა. დარწმუნებული ვარ, მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე აქტიურობა საკმაოდ მაღალი იქნება. ეს ერთ-ერთი კარგი საშუალება იქნება იმისა, რომ ქვეყანაში გარკვეული ცვლილებები მოხდეს. ამომრჩეველთა რიცხვის ზრდა არ არის კორელაციაში იმასთან, რომ ამომრჩევლის კულტურა გაიზარდა. შესაძლოა, ამომრჩეველთა კულტურა წინა წლებთან შედარებით უკეთესია, მაგრამ დაახლოებით ერთი და იგივე სიბრტყეში დევს. ადამიანები მეტწილად არ იცნობენ ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიების პროგრამებს, წესდებებს, ღირებულებით მყარ ორიენტირებს. ისინი უმეტესწილად ამა თუ იმ ლიდერისადმი პირადი სიმპათია-ანტიპათიებით ხელმძღვანელობენ. ამომრჩევლის კულტურის გაზრდა ახლაც დღის წესრიგშია და, სამწუხაროდ, კიდევ კარგა ხანი იქნება.

**— „ჰუმან რაითს ვოჩის" შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ აშშ და ევროკავშირი საქართველოს მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ, ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხი არასაკმარისია. თქვენი აზრით, რამდენად დიდია ალბათობა, რომ თავისუფლების არასაკმარისი ხარისხი არჩევნებში თავისუფალ არჩევანზე სერიოზულ გავლენას იქონიებს?**

— საკმაოდ დიდია. თავისუფლების ხარისხი ჩვენთან არ გაზრდილა. პირიქით, თავისუფლების ხარისხი „ვარდების რევოლუციამდელ" და რევოლუციის შემდეგ პირველ წლებთან შედარებითაც კი, შიშის ფაქტორის გამო საგრძნობლად შემცირებულია. ვინაიდან არჩევანი ნების თავისუფალი გამოხატვაა, თავისუფლების ხარისხის შემცირება საპარლამენტო არჩევნების შედეგებს დიდ დაღს დაასვამს. სამწუხაროა, მაგრამ რეალობა ასეთია. მაგრამ, მე მაინც იმედი მაქვს დიდი რიცხვის კანონის — ანუ, თუ არჩევნებზე ამომრჩეველთა დიდი რაოდენობა მივიდა, მაშინ ამ კანონის თანახმად, თამაშში თავისუფალი ნებაც შემოვა. უდავოა, რომ არჩევნებზე დიდი რაოდენობით ადამიანთა მისვლა აუცილებლად მოიტანს დადებით შედეგს ცვლილებების თვალსაზრისით. არჩევნებზე შედეგის მისაღწევად აქტიურ ამომრჩეველთა ოდენობა გადამწყვეტი ფაქტორი იქნება.

**კობა ბენდელიანი**

◎ „კონტროლის პალატაში გიჟები არ არიან?"

# პარტიების დაფინანსების კანონი შეცვალეთ,

**„თუ თვლით, რომ ფორმულირების დახვეწა საჭიროა, თქვენგან ველოდებით ამ ფორმულირებებს. მაგრამ გარანტიას ვერ გაძლევთ, რომ ეს ფორმულირებები აუცილებლად შევა კანონში",** — ეს განცხადება პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ პავლე კუბლაშვილმა არასამთავრობო ორგანიზაციებთან გამართულ შეხვედრაზე რამდენიმესაათიანი კამათის შემდეგ გააკეთა.

კამათი კი კუბლაშვილსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ძალიან დიდ ნაწილს შორის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" კანონში შეტანილ იმ ცვლილებებთან დაკავშირებით გაიმართა, რომელიც პოლიტიკური პარტიებისთვის მთელი რიგი შეზღუდვების და აკრძალვების დაწესებას ითვალისწინებს, რომლებიც, ამავე დროს, გავრცელდება პარტიასთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულ პირებზე.

არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან აქცენტი რამდენიმე საკითხზე გაკეთდა. პირველი არის ის, თუ რის საფუძველზე თვლის კონტროლის პალატა ამა თუ იმ ორგანიზაციას პოლიტიკურ პარტიასთან დაკავშირებულ პირად. როგორც მათ აღნიშნეს, გაუგებარია, ვისი ვალდებულებაა, განსაზღვროს ასეთი პირები, რადგან კეთდება ზეპირი განცხადებები, რომ ეს კონტროლის პალატის პრეროგატივაა. თუმცა, კანონის 34/1 მუხლში, რომელიც კონტროლის პალატის უფლებამოსილებებს განსაზღვრავს, მსგავსი არაფერია ნათქვამი. ამასთან, არ არსებობს ნორმა, რომლის მიხედვითაც კონტროლის პალატამ უნდა იხელმძღვანელოს.

სწორედ ამიტომ, არასამთავრობო ორგანიზაციები შიშობენ, რომ კანონის ეს ნორმა კონტროლის პალატას უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და, ამის საფუძველზე, სხვადასხვა პირების დისკრიმინაციის საშუალებას აძლევს.

თუმცა, პავლე კუბლაშვილი დარწმუნებულია, რომ კონტროლის პალატა ასეთ რამეს არ ჩაიდენს, რადგან „იქ გიჟები არ არიან". არასამთავრობო სექტორს კი არ აქვს იმედი, რომ კონტროლის პალატაში „გიჟები" არ გამოჩნდებიან და კანონში კონტროლის პალატის უფლებამოსილებების დეტალურად გაწერას ითხოვენ.

რაც შეეხება პარტიებთან დაკავშირებული პირების კონკრეტიზაციას, არასამთავრობო სექტორს მიაჩნია, რომ კანონის ნორმით, დაკავშირებული პირი იქნება ყველა პარტიის ყველა წევრი და მისი ახლობლები, თანამშრომლები თუ ოჯახის წევრები. ასევე, პოლიტიკური მიზნის მქონე ნებისმიერი პირის ოჯახის წევრის საწარმო და ა.შ.

კუბლაშვილი კი აცხადებს, რომ შეზღუდვები მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუწესდება „დაკავშირებულ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს", თუ ისინი პოლიტიკური პარტიების მიზნების განხორციელებისას, კანონით დადგენილი ნორმების გვერდის ავლაში დაეხმარებიან.



◉ მშიერი ფანტაზია

# ალმოაჩინე შენი კახეთი თავიდან!

## ანუ სისულელეები, რომელთა აღმომჩენებს საქართველო ამაგს არ დაუკარგავს!

**როგორც ამ ორიოდე თვის წინათ ვწერდი, საკაცობრიო ცივილიზაციამ დიად აღმოჩენათა ათასწლეულები სვენებ-სვენებით, მძიმედ და ხვნეშით უკვე კარგა ხანია განვლო. აი საქართველოს კი, ეტყობა, ახლა, მაინც და მაინც ვარდოსან ხელისუფალთა მმართველობის პერიოდში, დაუდგა ეს სანუკვარი ხანა. ეს უპირველესად იგრძნობა რევოლუციური ხელისუფლების ყოველდღიურ აღტკინებაში, ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალური ყოფის შეუქცევად გარდაქმნებში, დემოკრატიისა და თავისუფლების არნახულ აღზევებაში, უბრალოდ ქუჩებშიც კი, სადაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით დევიზსა თუ სლოგანს — „აღმოაჩინე შენი ქვეყანა თავიდან!“**

აი, ხომ ხედავთ, საითკენ გვიბიძგებენ, გუშინდელი საქართველო კი არა, შევარდნაძისა და კომუნისტების დროინდელი, გნებავთ, თამარისა და დავითის დროინდელ ქვეყანა კი არა, სრულიად ახალი საქართველო აღმოაჩინეთო თავიდან. ყველაფერი რაც შეგვიქმნია, — ენა, კულტურა, ტრადიცია, — ისტორიის სანაგვეზე მოვისროლოთ და ცხოვრება დავიწყოთო თავიდან, კერძოდ, 2003 წლიდან!

მინდა თავმდაბლობა გამოვიჩინო და განვაცხადო, რომ მე და ჩემნაირები ვერაფერი შვილი აღმომჩენები ვართ. ეს ვარდოსან ხელისუფლებას ჩვენზე უკეთ მოეხსენება და ამ საკრალურ დარგში საქმე რომ არ ჩაუვარდეს, „აღთქმული ქვეყნისკენ“ მიმავალ ფარას თავადვე მიერეკება. შიშაქისა და პირველაღმომჩენის როლს, რაღა თქმა უნდა, ქვეყნის პირველი სოლისტი — მიხეილ სააკაშვილი ასრულებს.

ამ წერილში, რა თქმა უნდა, ყველა იმ ისტორიულ აღმოჩენას, რაც სააკაშვილმა და მისმა ერთგულმა გუნდმა თავიანთი მმართველობის მოკლე პერიოდში გააკეთეს, ბუნებრივია, ვერ ჩამოვთვლი (ამის თაობაზე ჩვენს გაზეთში არაერთგზის დაიწერა)(, მაგრამ აი იმას კი, რაც პიროვნულად კახეთის მხარეს შეეხება, ეტყობა, გვერდს ვერ ავუვლი, მით უფრო, რომ ამ დღეებში ნაცებმა კვლავ მოგვიწოდეს ახალი სლოგანით — **„აღმოაჩინე შენი კახეთი თავიდან“!**

მაგრამ, ალბათ, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ საქართველოს ნეტარმა პრეზიდენტმა კახეთი ჯერ კიდევ ამ სლოგანის მოფიქრებამდე ბევრად ადრე აღმოაჩინა. თანაც ვფიქრობ, მეთვრამეტე საუკუნის არც ერთ დიდ აღმოჩენას არ ჩამოუვარდება ის აღმოჩენა, რომელიც გასული წლის გაზაფხულზე სააკაშვილმა კახეთის თავზე მფრინავ ლაინერში გააკეთა. მაშინ ქვეყნის სვებედზე მაფიქრალი თავკაცი, მხარის დაუმუშავებელ ველ-მინდვრებს რომ გადახედა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სოფლის მეურნეობა საქართველოში სასწრაფოდ უნდა გამოცხადდეს პრიორიტეტულ დარგად (ტურიზმი წუთიერად გადაავიწყდა)(, ხოლო მთავრობა, შესაბამისად, გარდაიქმნას აგრარულ მთავრობად. წავიდა ის დრო, განაცხადა პრეზიდენტმა, როცა ჩვენი ბარაქიანი მიწის მადლს არც მთავრობაში და არც სოფლად სათანადოდ არ ვაფასებდითო. ამ მხრივ გამორჩეულია კახეთის მიწა, რომლიდანაც, თუ მოვუვლით, ყურძენთან ერთად, ხორბლის, ზეთისხილისა და სიმინდის ისეთ მოსავალს მოვიწევთ, საექსპორტოდ საზღვარგარეთაც ბლომად გავიტანთო.

რა მოჰყვა შედეგად სააკაშვილის აღმოჩენილი აგრარული მთავრობის აგრარულ პოლიტიკას, ამის დასტურად სამარცხვინოდ ჩავარდნილი „ჰიბრიდული სიმინდის პროგრამა“ და დაზარალებული გლეხობა გამოდგება, რომელსაც პრეზიდენტი სიმინდის თესლში გადებული თანხის კომპენსაციას შეჰპირდა და ისიც ვერ შეუსრულა. ეს მარცხი, რა თქმა უნდა, იმერეთთან, გურიასთან, სამეგრელოსთან და სხვებთან ერთად კახეთმაც მწვავედ იგემა.

თუმცა ეს ფაქტი ოდნავადაც ვერ ანელებს ენთუზიაზმს, რომელსაც ნაცების ხელისუფლება ქვეყნის აღმშენებლობაში იჩენს. **„საქართველოში არც ერთ ეპოქაში, არც ერთი მეფის, არც ერთი მთავრობის დროს, —** აცხადებს თავის ყოველი გამოსვლისას სააკაშვილი, — **არ აშენებულა და არ გაკეთებულა იმდენი, რამდენიც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში აშენდა“.** ეს აღმშენებლობის სააკაშვილისეული სტილია და ის მასშტაბებითა და ხუროთმოძღვრული თვალთახედვით საკაცობრიო ცივილიზაციის არც ერთ პერიოდს არ ესადაგება. ეს სტილი ბათუმის კვალდაკვალ უკვე დაეტყო ქუთაისს, რომელიც ქვეყნის საპარლამენტო ქალაქი ხდება და იქ ყველაზე ლამაზი შენობები, ყველაზე დახვეწილი ინფრასტრუქტურა შენდება. მაგრამ თურმე ესეც არ არის საკმარისი, რადგან, როგორც თავად ბატონი მიხეილი შენიშნავს, გაჩნდა კითხვა: **„კახეთმა რა დააშავა!“**

და აი, ქვეყნის აღმშენებელი პრეზიდენტი უკვე აქ არის, კახეთში, ყვარლის მადლიან მიწაზე, სადაც მან „მცირედი დანაზოგით“ შეიძინა მამული, აიშენა სახლი და მტრების გასაგონად რიხიანად განაცხადა: **„2012 წელი საქართველოში იქნება კახეთის წელიწადი. ამ წელს იქნება უფრო მეტი აღმშენებლობა კახეთში, ვიდრე ყოფილა საქართველოს ნებისმიერ რეგიონში ბოლო 7-8 წლის განმავლობაში“. სააკაშვილს მიაჩნია, რომ „ქართული სახელმწიფოებრიობის კოდი კახეთში, ალაზნის ველზეა შექმნილი. აქ, ამ ნოყიერ მიწაზე მცხოვრებლებთან ერთად ჩვენ ყველამ არ უნდა დავიშუროთ თავი კახეთის ასაღორძინებლად“.**

სწორედ ამ მამულიშვილურმა გრძნობამ უბიძგა მიხეილ სააკაშვილს ბათუმ-ქუთაისური „ტურნეს“ შემდეგ თავის მზრუნველი თვალი კახეთისთვისაც მიეპყრო და მისი გრანდიოზული აღმშენებლობის გალაპროგრამა შეემუშავებინა. პრეზიდენტმა არ დაიზარა და ამ პროგრამასთან ერთად, როგორც უკვე ვთქვი, ახალი სლოგანიც ისროლა: „აღმოაჩინე შენი კახეთი თავიდან!“

ქვეყნის თავკაცს არ დაუკონკრეტებია, რა უნდა აღმოვაჩინოთ კახეთში თავიდან, არც ის, მარტო კახელებმა უნდა აღმოაჩინონ კახეთი თუ მათთან ერთად სხვა დანარჩენებმაც, მაგრამ ის კი გარკვეულად თქვა, რომ **„ქვეყანაში აღსადგენი ბევრი არაფერია. ჩვენ საქართველოს, ფაქტობრივად, თავიდან ვაშენებთ. ყველაფერი, დასანგრევი, გასაჩანაგებელი და მოსაპარი უკვე მოპარული, დანგრეული და გაჩანაგებული იყო. თქვენ გგონიათ, რომ სიღნაღი რეალურად არსებობდა? ჩვენ ის პრაქტიკულად თავიდან ავაშენეთ“.**



აი, სიმართლე თუ გინდათ, ეს არის — საქართველოში ყველაფერი თავიდან აღმოსაჩენი და ასაშენებელია! მათ შორის კახეთიც, რა თქმა უნდა. ამიტომაც სულაც არ არის გასაკვირი, რომ 2012 წელი კახეთის ტურისტულ წლად გამოცხადდა. აქ, ყვარლის ტბასა და ლოპოტის წყალსაცავზე, უკვე აშენდა ულტრათანამედროვე დასასვენებელი კომპლექსები, რომლებიც უამრავ ტურისტს იზიდავს. ქალბატონ ვერონიკა ქობალიას თუ დავუჯერებთ, შარშან კახეთს უკვე ეწვია 200 ათასი უცხოელი ტურისტი, რამაც მხარის ეკონომიკა მნიშვნელოვნად გაზარდა. წლევანდელი მაჩვენებელი, სავარაუდოა, რომ შარშანდელს ბევრად გადააჭარბებს.

**ჰოდა, რახან ასეთი მომგებიანია ტურიზმი, კახელებმა ვენახების მოვლა-პატრონობაზე რატომღა უნდა ღვარონ ოფლი, ისხდნენ, ითვალონ ტურისტები, მათ მიერ დახარჯული ფულები და ისედაც თავისით აყვავდებიან.** ჩვენ მთავრობასაც ეს უნდა, ფაბრიკა-ქარხნები და პროდუქტის წარმოება მაინც თვალის დასანახად ეზარება და თუ ტურისტთა და საკუთარ ჯიბეში ფულის თვლის გარდა საქმე არაფერი ექნება, მაგას რა აჯობებს(!)(.

მაგრამ ეს მთავრობა იმდენად გადაეჩვია საქმის კეთებას და იმდენად მიეჩვია პიარის კეთებას, რომ ტურისტების თვლაც კი აღარ შეუძლია. რომც მოიწადინოს, მაინც ვერ დათვლის იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ ქვეყანას ტურისტების დათვლის მეთოდიკა არ გააჩნია. რაკი არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა, ვისაც რა მოელანდება, და რა მოეპრიანება, იმ ციფრს ასახელებს. პრეზიდენტ სააკაშვილს განგებამ ფანტაზიის უნარი უხვად დაანათლა და ისიც ასევე უხვად იყენებს მას ჩვენს მოსატყუებლად. ამიტომაც იმეორებს და იმეორებს ერთსა და იმავე ტყუილს — შარშან საქართველოს 3 მილიონი ტურისტი ეწვია, წლეულს კი მათი რაოდენობა 5 მილიონამდე გაიზრდებაო.

**რაღა გვიჭირს, პრეზიდენტმა ტურისტები დაითვალოს, ეკონომიკის მინისტრმა — მათი ნასვამ-ნაჭამი და აშენდება ქვეყანა(!).**

ეს რაც შეეხება საკუთრივ ტურიზმის განვითარებას, მაგრამ, ვფიქრობ, გაცილებით რთული ფენომენია კახეთის ხელახლა აღმოჩენა, რომლის იდეაც ნაცმოელებს არცთუ შემთხვევით აეკვიატათ. თუ კახელებს ბედმა გაუღიმათ და საკუთარი მხარე თავიდან აღმოაჩინეს, არ არის გამორიცხული, ასეთივე სურვილი გაუჩნდეთ გურულებს, იმერლებს, მეგრელებს, სხვა დანარჩენებს და მთელი ქვეყანა ხელმეორედ აღმოსაჩენი გახდეს (სააკაშვილი რას გაიხარებს!)(.

**აი იმათ კი, ვისაც საკუთარი სისულელეები აღმოჩენად მიაჩნიათ, ვფიქრობ, საქართველო ამაგს არასოდეს დაუკარგავს.**

**ოთარ ხუციშვილი**

# სააკაშვილო!

ალსანიშნავია, რომ არასამთავრობო სექტორიდან საპარლამენტო უმრავლესობას მხოლოდ მიხეილ თავხელიძე ექომაგებოდა, რომელმაც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მიერ ნორმების არასწორად ინტერპრეტირებაზე ისაუბრა.

არასამთავრობო სექტორი კი მიიჩნევს, რომ კანონში ცვლილებების შეტანა და დამატებითი დაზუსტებების გაკეთება აუცილებელია. როგორც შეხვედრისას კოალიცია „არჩევნის თავისუფლებისათვის“ თავმჯდომარემ ირაკლი მელაშვილმა განაცხადა, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მონაწილეობით უკვე გაიმართა რამდენიმე კონსულტაცია და ხელისუფლების მზაობის შემთხვევაში ისინი ცვლილებათა პროექტს წარმოადგენენ.

მთავარი კი ის არის, რომ ხელისუფლება არასამთავრობოების შენიშვნას არ ითვალისწინებს. ყოველ შემთხვევაში, პავლე კუბლაშვილმა განაცხადა, **„თუ თვლით, რომ ფორმულირების დახვეწა საჭიროა, თქვენგან ველოდებით ამ ფორმულირებებს. მაგრამ გარანტიას ვერ გაძლევთ, რომ ეს ფორმულირებები აუცილებლად შევა“.**

თავისთავად, თუკი ხელისუფლება არაფრის შეცვლას არ აპირებს, მაშინ ჩნდება კითხვა, ასეთი შეხვედრის გამართვას რა აზრი აქვს.

ამის პასუხი მხოლოდ ის არის, რომ დასავლეთი ხელისუფლებას კანონში გარკვეული ცვლილების შეტანას აიძულებს. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ამ კანონის მიღების შემდეგ, აშშ-ის ადმინისტრაციამ და ევროკავშირმა არაერთი განცხადება გააკეთეს, რომ აქ ჩაწერილი ნორმები ხშირად ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და, შესაძლოა, ეს პოლიტიკური ზეწოლისთვის იქნას გამოყენებული და გარკვეული პრობლემები გამოიწვიოს. ასეთივე შენიშვნა გააკეთა გუშინ ევროსაბჭომაც. ცხადია, გასათვალისწინებელია ისიც, რომ 30 მაისს სააკაშვილს ობამასთან შეხვედრაზე თავის მოსაწონებლად რაიმე არსებითი არგუმენტის თქმაც მოუწევს.

ამიტომაც, ამ ყველაფერს თუ გავითვალისწინებთ, ამ შეხვედრის გამართვის აზრიც გასაგები ხდება. მაგრამ, ცხადია, დასავლელი პარტნიორებისთვის მხოლოდ იმის თქმა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრა უკვე მიღებულ ნორმებზე გამართეს და არაფრის შეცვლას არ აპირებენ, თავის მოსაწონებლად ვერანაირად ვერ გამოდგება.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას გარკვეული ცვლილებების შეტანა მაინც მოუწევს. თანაც, ეს პროცესი 30 იანვრამდე უნდა დაიწყოს. თუმცა, ჯერჯერობით არ კონკრეტდება, რის შეცვლას აპირებენ. Presage.tv-ს ინფორმაციით, ეს ცვლილებები მედიასთან და არასამთავრობო სექტორთან დაკავშირებულ რეგულაციებს შეეხება. თუმცა, კონკრეტულად რა იქნება, ამის თქმა ჯერჯერობით ძნელია და, წესით, უახლოეს დღეებში გამოჩნდება.

**თეონა ხარაბაძე**

◉ ინფორმაცია

## მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით შსს-მ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა

თბილისში გუშინწინ მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა. შსს-ს ცნობით, სამართალდამცველებმა დააკავეს მკვლელობისთვის ბრალდებული, 18 წლის ანდრო არჩილის ძე გელოვანი.

გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულმა ანდრო გელოვანმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით თავის არეში დაჭრა 18 წლის ირაკლი მამუკას ძე ფოთოლაშვილი, რომელიც მიღებული დაზიანების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა.

მკვლელობაში ბრალდებული ანდრო გელოვანი შემთხვევის ადგილზე დააკავეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

ინტერპრესი

**შჩეპანსკი პოლონეთში ცნობილი მწერალი, ესეისტი, რეპორტიორი, კინოსცენარისტი და მთარგმნელი იყო. უამრავი მოთხრობისა და ესეისა თუ სცენარის გარდა, დაწერილი აქვს ორი რომანიც („პოლონური შემოდგომა“ და „კუნძული“). ამბავი, რომელიც ქართულად გურამ გოგიაშვილის მიერ არის გადმოენებული, ამოღებულია 1990 წელს გამოცემული „პატარა ამბების“ კრებულიდან.**

იან იუზეფ შჩეპანსკი (1919-2003)



# ლანჩი ჰარვარდში

ამბავი

1958 წელს ჰენრი კისინჯერი ჯერ არ იყო გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, თუმცა უკვე მაშინვე შეიძლებოდა იმის ვარაუდი, რომ ადრე თუ გვიან თავს გამოიჩენდა. ჯერჯერობით კი ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი გახლდათ, აგრეთვე იმ საერთაშორისო სემინარის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი იყო, რომელშიც მე ვმონაწილეობდი (იაცეკ ვოზნიაკოვსკის* შემდეგ მეორე მიწვეული პოლონელი ვიყავიძ.

სხვა პროფესორთ კისინჯერი თვალში არ მოსდიოდათ (უხეშობასა და მეტისმეტ ამბიციურობას სდებდნენ ბრალადძ, თვით სემინარის მონაწილენიც გულგრილად ექცეოდნენ, რაკი ხედავდნენ, რარიგ არათანაბრად ანაწილებდა ის თავის სიმპათიებს, თუმცაღა, იმ არაობიექტურობას, რასაც კისინჯერს მიაწერდნენ, პირადი ხასიათი არა ჰქონია და რაიმე წინასწარშექმნილი ცუდი აზრიდან არ გამომდინარეობდა. კისინჯერის არაობიექტურობის მიზეზი ყოველთვის პოლიტიკური იყო. იმ ქვეყნების წარმომადგენელნი, სადაც მაშინ მნიშვნელოვანი რამ ამბავი ხდებოდა, მუდამ გრძნობდნენ იმის კეთილგანწყობილებას — ბევრს შინ ეპატიჟებოდა, ბუხრის წინ გაუბამდა საუბარს, თან ვისკით უმასპინძლდებოდა. დანარჩენები არსებობდნენ მხოლოდ როგორც სტატისტები, რომლებიც არცრა საგანგებო ყურადღებას არ იმსახურებდნენ.

მე, შემიძლია თქმა, პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ჯერ კიდევ ყველას ახსოვდა პოლონური ოქტომბერი**, ხოლო გომულკა არცთუ მცირედ პოპულარული იყო ამერიკაში. ამ გარემოებათაგან დამოუკიდებლად ჰენრი კისინჯერი ჩემზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა. ენერგია გინდა თუ ღრმა, მსუყე ბარიტონი, იუმორის იშვიათი გრძნობა თუ ელვისებური რეაქცია, ყველაფერი აშკარად მოწმობდა, რომ ის გამორჩეული გონებრივი უნარით დაჯილდოებული ძლიერი პიროვნება იყო. ვფიქრობ, მაინცდამაინც საქმის ცოდნით ვერ განვუმარტე რაპაცკის*** გეგმა და, ცოტა არ იყოს, იმედი გავუცრუე. მაგრამ, როგორც ჩანს, გომულკას წყალობით, მაინც დავრჩი რჩეულთა წრეში და უსახელო ფიგურანტთა ხვედრი არ გამიზიარებია. ერთ-ერთი ასეთი ფიგურანტი იყო, მაგალითად, ერთი ფილიპინელი, რომელიღაც პატარა კუნძულის სულთნის შვილიშვილი, რომელმაც კემბრიჯში**** ჩამოსვლისთანავე გაზეთებში გამოაცხადა, მსურველთ ნაშუადღევს ხუთიდან ექვს საათამდე მივიღებო, და მართლაც ყოველდღე, ამ დათქმულ დროს, თავდოლბანდიანი, მურასა ტანსაცმლით უცხოდ გამოწყობილი და ხავერდის ჭვინტიან მაშიებში ფეხებწაყოფილი მოთმინებით (მაგრამ ამაოდძ ელოდა კამპუსში თავისი პატარა ოთახის ჭერქვეშ ცნობისმოყვარე უცნობ პირთ, ვინც პატივის მისაგებად უნდა მისულიყო. არც კიდევ არცროდის არ გადავყრივარ კისინჯერის მხრიდან იმ მოწყალე ღიმილს, რისი ღირსიც მავანი ესპანელი გახდა, ვისი ერთადერთი მეცნიერული წვლილი ჩვენს პროგრამაში ხარების ბრძოლაზე წაკითხული მოხსენება იყო.

ტყუილს ვერ ვიტყვი, არც მე არცრით არ გამიმდიდრებია ის პროგრამა (რომლის თემა „მასობრივი კულტურა“ იყოძ, თუმცა კისინჯერისთვის, ეტყობა, ამას მნიშვნელობა არა ჰქონდა.

ლონისძიებები მრავლად და მრავალნაირი იმართებოდა, რომელთაგან ყველაზე თავშესაქცევ ყოველკვირეულ შეხვედრებს გამოვარჩევდი. სტუმრად გვყავდნენ ხოლმე ეგრეთ წოდებული guest speakers. ჰენრი კისინჯერი ხან რომელ მნიშვნელოვან პიროვნებას იწვევდა, ხან რომელს. მოდიოდნენ პოლიტიკოსები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, რათა ჩვენთვის თავიანთი მოსაზრებები გაეცნოთ და, ამასთანავე, ჩვენიც მოესმინათ. სტუმარი შაბათობით, საღამო ხანს, ერთ-ერთ აუდიტორიაში სემინარის ყველა მონაწილისთვის კითხულობდა ლექციას, მეორე დღეს კი მასწავლებელთათვის განკუთვნილ კლუბში სტუმრის პატივსაცემად იმართებოდა საზეიმო ლანჩი, რომელზეც რამდენიმე რჩეულს იწვევდნენ.





ლანჩს წინ მუდამ საგულდაგულო სამზადისი უძღოდა. ორი დღით ადრე კისინჯერის თანამშრომლები ყველას მოსაწვევ ბარათებს ურიგებდნენ, რომელთაც მაგიდის სქემატური სურათი ერთვოდა — ვინ სად, რა ადგილას უნდა დამჯდარიყო, ყველას წინასწარ აუწყებდნენ.

ასეთი მოსაწვევი ბარათი მე ქალბატონ ელეონორა რუზველტის ვიზიტის გამო მივიღე. რა თემაზე წაგვიკითხა ლექცია, კარგად აღარ მახსოვს. მგონი, ომისაგან გაჩანაგებულ ევროპაში ბავშვებისთვის დახმარების აქციაზე გვესაუბრა, რომელ აქციაშიც პირადად იღებდა აქტიურ და ყველანაირად საქებარ მონაწილეობას. სამაგიეროდ კანთიელად დამახსომდა თვითონ ლანჩი და ერთი რამ მაშინდელი ამბავი.

ზემოხსენებული მოსაწვევი ბარათი ჩემს ოთახში საწერ მაგიდაზე დავდე, წესიერად არც დამიხედავს, რადგან სადღაც მიმეჩქარებოდა და გავიქეცი. ცხელი და ქარიანი ზაფხული იდგა, ამიტომ ჩვენი საცხოვრებლის კარ-ფანჯარა დღედაღამ ღია გვქონდა. როცა დავბრუნდი, დავინახე, რომ ქარს სულ ოთახში მიმოეფანტა, რაც მაგიდაზე ქაღალდები ეწყო. მაშინვე წამოვუარე და ავკრიფე, მაგრამ მოსაწვევი ბარათი ველარ ვიპოვე.

მეორე დღეს სასაუზმოდ კაფეტერიაში მიმავალი გზად კისინჯერს შევეჩეხე. უმალ ის მკითხა, მოსაწვევი ბარათი თუ მიიღეო. გულახდილად ვუთხარი, სადღაც თვალს მიეფარა, ვერსად ვერ მივაგენი-მეთქი. ამ ამბავმა ძლიერ აალელვა. წარბები სათვალის სქელ მინებს ზემოთ აზიდა და მკითხა:

— როგორ თვალს მიეფარა?

— ჩანს, ქარმა გადმოაფრიალა მაგიდიდან. ბევრი ვეძებე, მაგრამ ველარსად ვერ მივაგენი.

ჩემდა გასაკვირად, ის უცებ მიბრუნდა და სწრაფად წავიდა თავისი კაბინეტისკენ. შუადღისთვის ახალი მოსაწვევი ბარათი გადმომცეს. ამჯერად უკვე ყურადღებით გადავიკითხე. ქალბატონ რუზველტის ხელმარჯვნივ მიწევდა ჯდომა.

ლანჩი გეგმის შესაბამისად მიმდინარეობდა, იმ მხიარულ, ბუნებრივ ატმოსფეროში, ესოდენ ხშირად თვალს რომ უხვევს ევროპელს, რომელსაც ეგალიტარული სისადავით შენიღბული ხისტი ცერემონიალის წესების შეცნობის უნარი არ შესწევს. ჩემი მეზობელი ფრიად ენამჭევრი გამოდგა, თავის შექცევინება არ დამჭირვებია. ამ ფრიად პატივსაცემ ადამიანს ყველაფერი ორმაგად დიდი ზომისა ჰქონდა. ხელების მტევნები, ტერფები, ბიუსტი, ცხვირი ორ შემართულ მუშტს მიუგავდა. ფართო პირიდან ნამდვილად ცხენის კბილებსა ყრიდა გარეთ, თვალები კი არაბუნებრივად გადმოჰკარკვლოდა, რაც ბაზედოვის დაავადებაზე მეტყველებდა. ლაპარაკით მჭექარედ ლაპარაკობდა, ჟღერადი მკერდისმიერი ხმით. თუმცაღა, მუდმივად ხალისიანი გუნება-განწყობილებისა გამო ქალბატონი რუზველტის ტანსავსეობა მოკლებული არ იყო თავისებურ შნოს.

იმ ფაქტმა, რომ პოლონეთიდან ვიყავი, ქალბატონ რუზველტში ჩემთვის, ცოტა არ იყოს, გაუგებარი ენთუზიაზმი გამოიწვია. მან რამდენჯერმე წამოიძახა შორისდებული „ოუ!“ და მომილოცა — თურმე რა ბედნიერი ვიყავი, რაკი ქვეყნიერების იმ ნაწილში ვცხოვრობდი, სადაც ჩვენი პლანეტის მომავალი იჭედებოდა. მე სკეპტიკურად მივუგე, ჩვენს ქვეყანაში ამისთანა მომავალზე სულაც არ გვიოცნებია-მეთქი, და ჩემს პასუხს ეგრევე დისკუსია მოჰყვა.

— ჰო, თქვენ, პოლონელთ, — განაცხადა ქალბატონმა რუზველტმა, — რაღაც კომპლექსი გაქვთ რუსეთის მიმართ. უბრალოდ არ იცნობთ მაგ ქვეყანას და ამიტომ უსამართლონი ხართ.

რომ შევახსენე, არაერთი საუკუნის მეზობლები ვართ და ამ ხნის განმავლობაში რუსეთი ასე თუ ისე გავიცანით-მეთქი, მან იმწამსვე სიტყვა გამიტრაზავა. დიახაც ეგრე ჩნდება ცრურწმენა და აზრის წინასწარ აკვიატებასაც ეგეთი დამოკიდებულება აჩენსო! იგი დარწმუნებული იყო, რომ ობიექტურად აფასებდა ჩვენს მეზობელ ქვეყანას, რადგან სულ ცოტა ხნის წინათ მოენახულებინა მოსკოვი. ის კი არა, იქ ციხეშიც შესულიყო. ვერც კი წარმოედგინა, თუ ესოდენ ჰუმანურად შეიძლებოდა პენიტენციურ დაწესებულებათა არაერთი სავალალო პრობლემის გადაწყვეტა. საკანი სულაც საპყრობილე არ არისო. კედლები სუფთა და ნათელიაო, ფანჯრებზე ყვავილების ქოთნები უდგათო, საწოლებზე ქათქათა თეთრეული აფენიაო, კუთხეში ხატი ჰკიდიაო, ხოლო თვითონ პატიმრები — დაბანილ-დავარცხნილები, ელეგანტურები და თავაზიანები — უფრო სანატორიუმის ბინადარით ჰგვანან, ვიდრე დამნაშავეებსო. ვუსმენდი, მაგრამ არ შევკამათებივარ და არც ერთი იმისი ეს იდილიური წარმოდგენა სადავოდ არ გამიხდია. ლუბიანკა არც მაშინ მენახა და არც მერე თვალით არ მინახავს. მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ წავიკითხე სოლჟენიცინის „წრე პირველში“, როგორ მოინახულა ერთმა გვარდაუსახელებელმა, მაგრამ მაღალი წრის ამერიკელმა ქალბატონმა მოსკოვის ციხე. ავტორი ერთ-ერთი იყო იმ სუფთად დაბანილ-დავარცხნილ „სანატორიუმის ბინადართაგან“, მთელი ნახევარი საათი რომ იცავდნენ დაწესებულების ღირსებას აგრე საგანგებოდ, მოსაჩვენებლად გაწყობილ საკანში.

ორი დღის მერე სრულიად შემთხვევით ვიპოვე ის პირველი, დაკარგული მოსაწვევი ბარათი. დართული სქემის მიხედვით სულ სხვა ადგილას მიწევდა ჯდომა, პრეზიდენტის ქვრივისგან კარგა შორს. და ახლაღა მივხვდი, რატომ აღელდა მაშინ კისინჯერი. ჩემი ნათქვამი არ ირწმუნა, არ დამიჯერა. დიპლომატის ლოგიკამ უკარნახა, რომ შეურაცხყოფილი ვიყავი, რადგან არასაკმარისად საპატიო ადგილი მქონდა მიჩენილი.



---

* . იაცეკ ვოზნიაკოვსკი (დ.1920) — ხელოვნების ისტორიკოსი, პუბლიცისტი, ესეისტი.

**. 1956 წლის ოქტომბერში პოლონეთში გაიმართა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზედაც პირველ მდივნად აირჩიეს ვლადისლავ გომულკა (1905-1982) და დაისახა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციის პროცესი.

***. 1957 წლის ოქტომბერში პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა.რაპაცკიმ წამოაყენა პროექტი ევროპის ცენტრში ბირთვული იარაღისგან თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ.

****. ბოსტონის გარეუბანი, სადაც ჰარვარდის უნივერსიტეტია.

## ქართული სიტყვა – გერმანიიდან

**გასულ წელს გამომცემლობა „სიტყვამ“ გამოსცა, ქალბატონ თეა შურღაიას ნოველების კრებული, იგი ძირითადად დაწერილია გერმანიაში სწავლის დროს. თეა შურღაია დაიბადა თბილისში, დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტი კინომცოდნეს სპეციალობით, აგრეთვე ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის უნივერსიტეტი პედაგოგიური სპეციალობით. სცენარის ავტორია ფილმებისა, „უსასრულო შფოთვა“, „პატარა ქალაქი“ (რეჟ. დავით იაშვილი 2001-2004). ასევე მონაწილეობდა „ტელეიმედის“ საბავშვო-საგანმანათლებლო პროექტში სცენარისტად.**

**ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს გერმანიაში.**



**კრებულში ავტორი საოცარი სინატიფით, სულიერი სიფაქიზით და ფილოსოფიური განაზრების წვდომით გადმოგვცემს ადამიანის სულიერი წონასწორობისა და განსაცდელის აღქმას.**

**თანამედროვე ცივილიზაციაში დაუნდობელი ბრძოლისათვის ერთ რინგზე დგას ბუნება და ადამიანი, ადამიანთა სულიერი, მორალური კონსტრუქცია უსამართლო რეკონსტრუქციას განიცდის. ავტორი კარგად ხედავს, რომ ადამიანები ერთმანეთში ვერ პოულობენ მყარ თავშესაფარს.**

**თეა შურღაიას „ფერადი ფურცლები“, რომელიც მან მიუძღვნა ცნობილ მსახიობს დავით იაშვილს, ნიჭიერებისა და სულიერების ნაყური ნაწარმოებია, სადაც ადამიანებს მოუწოდებს, გააძლიერონ ერთმანეთი სიყვარულით, სიკეთით და მშვენიერებით.**

**რეზო ფაჩულია.**

## თეა შურღაია

# ფერადი ფურცლები

### უხილავი სიყვარული

ოქტომბერი შვებულებაში გადიოდა. მზე მძიმედ სუნთქავდა. ძალებს იკრებდა და თავის მოვალეობას ასრულებდა.

არ ვიცოდი, სახლში რითი დავკავებულიყავი. ღირდა კი საერთოდ საწოლიდან ადგომა? ალბათ.

კუთხეში მიყუდებულ ქოლგას გავხედე. შეიძლება იწვიმოს? შეიძლება.

კარი მოვიხურე. შიგნით ტელეფონმა დარეკა.

მზის სათვალე გავიკეთე. სიგარეტს მოვუკიდე. ასანთის ღერი ძირს დავაგდე.

ტკბილად დაბერებული ფოთლები მიწას ენარცხებოდა, ხალხი ახალგარდაცვლილებს დაუნდობლად ფეხით თელავდა. გაწითლებული ფოთოლი ხელში ავიღე, სახლში წაღება გადავწყვიტე.

მივდიოდი და უამრავი სახე, ჩაფიქრებული, აზრდაკარგული, საინტერესო, ერთმანეთს ცვლიდა. ცვლიდა ისევე, როგორც ცხოვრება ადამიანს. ვაკვირდებოდი, ფიქრების ამოცნობას ვცდილობდი. ამაოდ. თავი გამოფიტულად ვიგრძენი. დალექილი ფანტაზიის ამღვრევას ვერ ვახერხებდი. სიწყნარე მჭირდებოდა.

ხმაურიანი ქუჩიდან გადავუხვიე. ჩემი პატარა პარკისკენ გავეშურე.

დიდხანს ვიჯექი ხეებს შუა ჩამალულ ბაღის სკამზე. თვალები ტბის ზედაპირს უმოძრაოდ აწვა. გედი წყალში ისე მოძრაობდა, თითქოს ახლა სწავლობდა ცურვას. ვუყურებდი, როგორ მიასრიალებდა ნაპირისკენ სხეულს, იქ კი ის ელოდა.

ის დაახლოებით ოცი წლის იქნებოდა. შეიძლება თვრამეტის, შეიძლება... სასაცილო წითელი ქუდი ეხურა. შავ, სწორ კაბაზე კრემისფერი შარფი მოეხვია.

მან ფრინველს საუბარი დაუწყო. ხელებით საკვებს სთავაზობდა. გედის შემშურდა მთელი არსებით.

ვუყურებდი ქალს და დიდი ხნის მოდუნებული სხეული იღვიძებდა. სკამზე ჩამოჯდა. სახე მშვიდი ჰქონდა, ტუჩებს შეუმჩნევლად ღიმილი უწელავდა, თვალები კი დაუნდობლად სიმართლეს ასხივებდა. ურთიერთობა მომინდა. შემეშინდა. არ მინდოდა მყუდროება დამერღვია.

კეთილ ადამიანს ჰგავს, ნეტავ სულ იცინის? თუ... ნეტავ ბევრს ლაპარაკობს? შეიძლება ფიქრი უყვარს. იქნებ ვცდები და მინდა ეს ლამაზი არსება ჩემი წარმოსახვის იდეალური ქალის თვისებებით შევამკო? არ ვიცი. საერთოდ აქვს მნიშვნელობა ამას?

ის იჯდა და ჩემი ყურადღება თავს დასტრიალებდა.

წიგნი გვერდზე გადადო. რას შეიძლება კითხულობდეს? აი, მზეს შეხედა. თვალები დახუჭა.

მზე მის სხეულს თბილი სხივებით ეფერებოდა.

ეფერებოდა თუ... ჩემ წინ ქალის გაუპატიურება ხდებოდა. თვალებდახუჭული ის წინააღმდეგობას არ უწევდა, პირიქით, მეტს ითხოვდა, მეტს ითხოვდა მზისგან და ექსტაზს ელოდა.

მარტოა?! კაცებს ეშინიათ ასეთი ქალების, ისევე, როგორც მე, ისევე, როგორც მე, თავბრუდახვეულნი ტკბებიან მისი არსებობით. ნუთუ საკმარისია ეს ყველაფერი იმისთვის, რომ შეიგრძნო მისი სხეული, გაერთიანდე მასთან?

სულ რამდენიმე წუთი გავიდა და მე მისი ცხოვრების ნაწილი გავხდი. მის სხეულში ჩავსახლდი. ადგომას, მასთან მიახლოებას ვერ ვბედავდი. ღირდა კი? ალბათ. დამძიმებული ფეხებით მისკენ გავემართე. მივუახლოვდი და შევჩერდი. შემომხედა. ხმას ვერ ვიღებდი და ვცდილობდი თვალებით მეთქვა ყველაფერი. გამიღიმა. თვალები დახუჭა, უხილავ სიყვარულს დაუბრუნდა.




ვინ იცის, იქნებ შემდეგ ცხოვრებაში კიდევ ერთხელ შევხვდეთ ერთმანეთს, კიდევ ერთხელ მომეცეს საშუალება... კიდევ ერთხელ შევიგრძნო სხეულში თამამად მოძრავი თბილი ჰაერი, ვინ იცის?!

სახლში ფოთოლი გამახსენდა. ალბათ, ბაღის სკამზე დამრჩა, ალბათ ქარმა მოიტაცა...

**2001**

### დათვი და თევზი

დათვმა წყალში თევზი დაიჭირა. პირიდან რომ არ გასხლტომოდა და მისთვის კანი არ დაეზიანებინა, დრუნჩი მაგრად მოიქცია. დინჯად გამოვიდა ნაპირზე და მდინარისგან მოშორებით მდგომ ტურისტს მიაშტერდა.

კაცმა მკერდზე ჩამოკიდებულ კამერას სტაცა ხელი.

თევზმა კუდი გააქნია, თან ძლიერად გააქნია, დათვს პირში შეუვარდა და მუცელში ჩაუცურდა. დათვმა უკმაყოფილოდ ჩაიბურდღუნა, მას სულ არ შიოდა.

ტურისტმა, როგორც იქნა, ფოკუსი გაასწორა, ღილაკს დააჭირა თითი და კამერამ წყალში ჩამავალი დათვის უკანალი დააფიქსირა.

ფოტო ისეთი კარგი გამოვიდა, კაცმა გადაწყვიტა, საფოსტო ბარათები დაებეჭდა. დაბეჭდა და დიდი წარმატებაც ხვდა წილად, იმდენი ეგზემპლარი გაყიდა, რომ გამდიდრდა.

**2.06.2011**

### მარტოობა

მარტო დარჩა. შეიგრძნო სიმშვიდე და სიწყნარე.

მარტო დარჩა. იფიქრა, დროს და სივრცეს განვაგებ.

მარტო დარჩა. იფიქრა, რა ვაკეთო მარტომ?

მარტო დარჩა. იფიქრა, წავალ, გავისეირნებ.

მარტო დარჩა. იფიქრა, რამეს შევქმნი, გავაკეთებ, გავერთობი მარტო.

მარტო დარჩა. იფიქრა, მერე? სიზმრებს დავწერ მარტო.

მარტო დარჩა. იფიქრა, დავიძინებ, დრო გავა.

მარტო დარჩა. იფიქრა, ყველაფერი გამუქდა.

მარტო დარჩა. იფიქრა, ალბათ მოვკვდი და ამ ქვეყნად მხოლოდ მე ვარ მარტო.

მარტო დარჩა. იფიქრა, მარტოობა არ მინდა.

**1999**

## ლექსი თვითონ მწერს...

**პოეტი ჯემალ ინჯია ქართლელი ინჯიაა, გორში დაბადებული და აღზრდილი ჩინებულ მამულიშვილად და მოქალაქედ. სულ ახლახან 75-ე წელიც „მოღუნა“ და „ინტელექტის“ მიერ გამოცემული 100 ლექსიც „მიართვა“ თავის რიცხვმრავალ მკითხველს. ჩვენც სულითა და გულით ვულოცავთ ძვირფას ჯემალს საიუბილეო თარიღს და ქვემოთ ვაქვეყნებთ პოეტის რამდენიმე ახალ ლექსს.**



**ჯემალ ინჯია**

### სამების ზარები

უთხრა სამების სამრეკლოსთან
მნათეს ილიამ:
გავაღვივოთო, რაც ხალხის გულში
დათესილია.
ჩამოჰკარ მძლავრად, რწმენა გახდეს
უნეტარესი.
იცოდე, რომ მრევლს ჩამოკრული
დუნედ არ ესმის!

### ბაკურიანში

პატარა ბიჭი მართავდა მარხილს
ძუაგანასკულ ზერდაგთან ერთად.
შარას მისდევდა გვერდიგვერდ არხი,
მზე-თოვლს გაჰქონდა ლივლივი
ფერთა.
გზას მიჰყვებოდა ჭაღარა კაცი,
წლების სიმძიმე მიჰქონდა დინჯად.
არ ეტყობოდა გაწყვეტა ქანცის,
ახრაშუნებდა თოვლს, როგორც ხვინჭას.
პატარა ბიჭმა უცნობი პაპა
შეაჩერა და დასვა მარხილზე.
კოხტაგორაზე ნელნელა ლამპას
უწევდა პირქვე დასამარხი მზე.

### სადღაც კრემლთან ახლოს

გამორთული ნათურა
რატომ უნდა ამენთო?
დაბლა – ტემპერატურავ!
მაღლა – ტემპერამენტო!
წყალს მივუგდებ მშრალ ღარებს...
ლოყა-ლოყას, ნები-ნებს...
ქერა ქალი შავ ღამეს
თეთრად მათენებინებს.

### უკვდავ იოთამ ზევდგინიძეს

**იოთამ ზევდგინიძე გიორგი VIII-ის სარეცელში ჩაწვა – მეფე გადაარჩინა შეთქმულთაგან სიკვდილს და თავად დაიღუპა**

შენ შესანდობარს როგორა გკადრებ,
სიკვდილით მართლაც სიკვდილის
მომრევს,
გმირად შობილო ძალიან ადრე,
ზოგჯერ რა გვიან გიხსენებთ ხოლმე.
ალბათ, არ არის ცხენის მოკაზმვა
განწირულ მეფის საწოლში წოლა.
როგორც ერთგულმა ყმამ და მოყვასმა
სამარის სუნთქვა იგრძენი ცოლად.
თასს ჩემთან ერთად შესვამ! ტროპარიც
ერთად ვიკითხოთ სანთლით, იოთამ,
მერე ვთქვათ მათი შესანდობარი,
ვინც არ იცოდა – სად მიდიოდა.

### იმედი

შარშან შემპირდნენ შემოდგომის
თვეებში შეშას.
დამაიმედეს, თუმცა უკვე
ზამთარი დადგა.
არც იმათ დუმილს და არც ხელის
ველოდი შეშლას
არანაირად, – სიტყვის კაცნი
არიან რადგან.
კი, ჯერჯერობით უნალექო
დგას იანვარი,
მაგრამ საეჭვოდ შეიფიფქა
ბურეთის მთები.
პატივისცემას აღარა აქვს
ფასი ამნაირს.
ვწერ ცივ ღუმელთან სონეტებს და...
იმედით ვთბები.

### საკრალური სამი

სამებაზე დაგაფიქრებს განგება
სამებიდან პირჯვრის წერით გამოსულს.
ჩემთვის ბევრი იდუმალის გამო მსურს
ლაბირინთში უცხო გზების გაგნება.
სამყაროა, სამოთხე თუ სამარე
მათ საკრალურ სამთან თუ აქვთ
კავშირი.
სამჯერ იცვლის საფლავს ბარათაშვილი,
მთაწმინდიდან არ დამოძღვრავს
სანამ ერს.
საქართველოს მეფის საზანდარი კი
საიათნოვა სამ ენაზე ბუბუნებს.
თარის ხმაზე ხმა უწყდებათ ბულბულებს,
ეშხში შედის სიყვარულის ტარიგი.
ღამის სამი საათია. ლოგინში
ბორგნეული სული ვეღარ თავსდება,
ხან ბეზრდება რბილ ბალიშზე თავის დება,
ხან საბანიც ნერვებს ისე მოგიშლის...
ცერად ვუმზერ მთვარეს –
ციურ სამშვენისს,
ვიტანჯები უძინარი მანამ ვარ,
უნდა სამჯერ დაიყივლოს მამალმა
გათენებას რომ დაადგეს საშველი.

**ქ. გორი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილი მედვედევის მტკიცებებს უარყოფს

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ რუსეთმა უნდა დახუროს თავისი „უკანონოდ გახსნილი საელჩოები" ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ვიდრე შეიძლება აღდგენილ იქნეს დიპლომატიური ურთიერთობანი, რომელიც მან გაწყვიტა 2008 წლის ომის შემდეგ.

25 იანვარს პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ რუსეთი „აბსოლუტურად მზადაა" კავშირურთიერთობათა აღდგენისთვის. მაგალითად მან მოიყვანა ნაწილობრივ განახლებული პირდაპირი ფრენები საბჭოთა კავშირის ორ ყოფილ რესპუბლიკას შორის მათი ურთიერთობების გაუმჯობესების დადასტურების სახით.

„გაურკვეველია, თუ რა აქვს რუსეთს მხედველობაში, როდესაც ამბობს, რომ მზად არიან აღადგინონ კავშირურთიერთობანი საქართველოსთან, — განაცხადა ხუთშაბათს საქართველოს პრეზიდენტის პრესმდივანმა მანანა მანჯგალაძემ ქვეყნის დედაქალაქ თბილისში გამართულ ბრიფინგზე. — მას მხედველობაში აქვს მთლიანად საქართველო, როგორსაც მას საერთაშორისო გაერთიანება აღიარებს? თუ საქართველო ურეგიონებოდ, რომლების ოკუპირებაც რუსეთმა მოახდინა? დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა რუსეთთან მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც დაიხურება ეგრეთ წოდებული დამოუკიდებელი საელჩოები ოკუპირებულ რეგიონში".

რუსეთმა გაანადგურა საქართველოს არმია ხუთდღიან ომში 2008 წლის აგვისტოში, რომელიც დაიწყო სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონისთვის, რომლის დამოუკიდებლობაც მოგვიანებით აღიარა როგორც აფხაზეთისა, ასევე ერთ-ერთი სეპარატისტული რეგიონისა. საქართველომ დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან გაწყვიტა 2008 წლის 2 სექტემბერს.



25 იანვარს მედვედევმა ასევე განაცხადა, რომ რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შესვლის გათვალისწინებით, დაიწყება საქართველოსთან „საქონლის უფრო ენერგიული გაცვლა".

რუსეთმა ქართულ ღვინოსა და მინერალურ წყალზე აკრძალვა დააწესა 2006 წლის მარტში იმის საბაბით, რომ სასმელები მისაღებად გამოუსადეგარი იყო. ემბარგო გაფართოვდა 2006 წლის ოქტომბერში, როდესაც რუსეთმა გადაკეტა საგზაო, სარკინიგზო, საზღვაო და ავიამიმოსვლა საქართველოსთან, შეწყვიტა საფოსტო ურთიერთობანი და დაბლოკა ფულადი გზავნილები.

მედვედევმა კვლავ გაიმეორა თავისი უარი, შეხვდეს ანდა თუნდაც დაელაპარაკოს სააკაშვილს, რომელსაც მან ბრალი დასდო 2008 წლის კონფლიქტის გაჩაღებაში. რუსეთის პრეზიდენტმა დაუმატა, რომ ის მხარს უჭერს უფრო მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას. „მე მყავს მხოლოდ ერთი ადამიანი, ვისთანაც არ მინდა, რომ მქონდეს საქმე, — დაუმატა მან. — თქვენ თავად გესმით, თუ ვინ მყავს მხედველობაში".

მანჯგალაძემ უარყო მედვედევის მტკიცება იმის შესახებ, რომ სააკაშვილი წინააღმდეგობას უწევს ურთიერთობათა აღდგენას.

„პრობლემა არა პიროვნებებსა და პრეზიდენტ სააკაშვილშია, — განაცხადა მანჯგალაძემ, — საქმე შეეხება მთლიანად საქართველოს და მთელ მის მოსახლეობას, განსაკუთრებით იმ ათასობით ადამიანს, ვინც დევნილობაში ცხოვრობს".

Bloomberg.com

# „ევროკავშირსა და აფხაზეთს შორის პირდაპირი კავშირების დამყარება საფრთხეების მთელ ჯაჭვს მოიცავს"



**სამხრეთი კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტის დირექტორის ალექსანდრე რუსეცკის აზრით, „ევროკავშირსა და აფხაზეთს შორის პირდაპირი კავშირების დამყარება საფრთხეების მთელ ჯაჭვს მოიცავს".**

ასე გამოეხმაურა რუსეცკი „პირველთან" საუბრისას ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრემიერ-მინისტრ ლეონიდ ლაკერბაიას განცხადებას ევროკავშირსა და აფხაზეთს შორის პირდაპირი კავშირების დამყარების შესახებ.

მისივე აზრით, „ევროკავშირმა უნდა გააცნობიეროს, რომ არსებობს ორი აფხაზეთი".

„კონფლიქტებთან დაკავშირებით ევროკავშირის პოლიტიკა კავკასიაში არსებულ პოლიტიკურ რეალობას მნიშვნელოვნად ჩამორჩება. ევროკავშირმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა გააცნობიერონ, რომ აფხაზეთის საზოგადოება ორად არის გახლეჩილი და ის, რომელსაც ბატონი ლაკერბაია წარმოადგენს, ამ საზოგადოების მხოლოდ ერთი ნაწილია. ნებისმიერი მოქმედება, რომელიც აფხაზეთის საზოგადოების ორად გახლეჩას არ ითვალისწინებს, არის კომპეტენციის ნაკლებობის გამოვლინება და საერთაშორისო ორგანიზაციებს არ აქვთ მორალური უფლება, ასეთი პოლიტიკა აწარმოონ. ეს დასავლური ორიენტაციის კიდევ უფრო მეტ ვარდნას გამოიწვევს", — განაცხადა რუსეცკიმ.

მისივე აზრით, „მსგავსი შეცდომა საერთაშორისო საზოგადოებამ ცხინვალთან დაკავშირებით ერთხელ უკვე დაუშვა, როდესაც ფონდებმა იქ დიდი რაოდენობის თანხების ინვესტირება და არათანაბარი განაწილება მოახდინეს".

რუსეცკის თქმით, „იმ ფაქტმა, რომ ინვესტირება და პროექტების განხორციელება მხოლოდ ცხინვალს შეეხო და არა მის მიმდებარე ქართულ ან თუნდაც ოსურ სოფლებს, სრული დისბალანსი გამოიწვია".

„გახლეჩილ საზოგადოებებს შორის დიალოგი სათანადო დონეზე ვერ დამყარდა, რადგან ეს მიზანი დასახული არ იყო. მიზანი იყო სხვა – რუსეთის ზეგავლენის შესუსტება. რუსეთის სპეცსამსახურებს ეს არ გამოეპარებოდათ და თუ ევროკავშირის პროგრამები ვლადიკავკაზამდე აღწევდა, დღეს ვხედავთ, რომ მონიტორინგის მისიას შესვლა არც ცხინვალის რეგიონის ზონაში შეუძლია. ევროკავშირის როლი აღნიშნული კონფლიქტების დარეგულირებაში მედიატორობა უნდა იყოს. იგივე ფილიპ ლეფორმა აფხაზეთის საზოგადოების სეცესსიონისტურ (გამოყოფის მომ-



ხრე) ნაწილს უნდა განუმარტოს, რომ ევროკავშირის პროგრამების განხორციელება და თანხების ინვესტირება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ პროექტებში გახლეჩილი აფხაზეთის ორივე — სეცესსიონისტური (გამოყოფის მომხრე) და იუნიონისტური (გამოყოფის მოწინააღმდეგეების) ნაწილი იქნება ჩართული", — განაცხადა რუსეცკიმ და დასძინა, რომ „სხვა ყველაფერი ევროპის მხრიდან პოლიტიკური სპეკულაცია იქნება".

„თუ ლაკერბაიას მიერ ნახსენებ „აფხაზში" აფხაზეთის მკვიდრნი იგულისხმებიან, თავად ლაკერბაია სამხედრო ოკუპაციის პირობებში აფხაზეთის საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილის აზრს გამოხატავს, ხოლო თუ იგი ეთნიკურ აფხაზებს გულისხმობს — მთლად უარესი. ე.ი. ეს რასისტულ-შოვინისტური ტიპის განცხადებაა და ამას შესაბამისი რეაგირება უნდა მოჰყვეს. ნებისმიერ სიტუაციაში, მე მას ვურჩევ, პარტნიორები და მეგობრები, პირველ რიგში, დევნილ მოსახლეობაში ეძებოს, რადგან მისი უსაფრთხოება და აფხაზეთის მომავალი დევნილებზეა დამოკიდებული და უახლოეს ხანებში ამას ყველა უფრო ნათლად დაინახავს", — განაცხადა რუსეცკიმ და დასძინა, რომ „ევროკავშირი ეთნოცენტრისტული ფრაზეოლოგიის გავრცელებას და დამკვიდრებას მხარს არ უნდა უჭერდეს".

შეგახსენებთ, რომ ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრემიერ-მინისტრ ლეონიდ ლაკერბაიას განცხადებით,„საჭიროა ნდობის გამყარება არა აფხაზებსა და ქართველებს, არამედ აფხაზეთსა და ევროკავშირს შორის".

ლაკერბაიამ სამხრეთი კავკასიის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი ფილიპ ლეფორი მიიღო.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ფილიპ ლეფორმა განაცხადა, რომ იგი აფხაზეთში ჩავიდა არა მხოლოდ როგორც ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი, არამედ როგორც ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარე.

„ჩვენ ვისაუბრეთ არა მხოლოდ ჟენევის დისკუსიების დინამიკაზე, არამედ იმაზეც, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ევროკავშირის მთელი რიგი პროგრამები რეგიონში. ევროკავშირსა და აფხაზეთს შორის განსხვავებული მიდგომების მიუხედავად, ჩვენს შორის ძალიან მეგობრული და ღია დისკუსია გაიმართა", — განაცხადა ლეფორმა.

თავის მხრივ, ლაკერბაიამ განაცხადა, რომ „შეხვედრაზე მთელი რიგი საკითხები იქნა განხილული, რომლებიც ჟენევის ფორმატს და ევროკავშირის მიერ შეთავაზებულ ინიციატივებს უკავშირდებოდა".

ლაკერბაიას აზრით, „ნდობა არა აფხაზებსა და ქართველებს შორის, არამედ აფხაზეთსა და ევროკავშირს შორის უნდა გამყარდეს".

ნინო ჩიჩუა

## დედამიწის ზურგზე



**„ნასამ" ანგარიში ჩააბარა „კეპლერის" მისიის შესახებ: ორი წლის განმავლობაში ტელესკოპმა 60-ზე მეტი ახალი პლანეტა აღმოაჩინა**

მეცნიერებმა დაადასტურეს 11 ახალი საპლანეტო სისტემის აღმოჩენა, რომელთაგანაც თითოეული მათგანი შეიცავს 2-დან 5-მდე პლანეტას დედამიწის 1,5 რადიუსიდან დაწყებული და იუპიტერის ზომაზე დიდით დამთავრებული, და სხვა ვარსკვლავს 26 ახალი პლანეტისა . ყველაზე „მჭიდროდდასახლებული" საპლანეტო სისტემა გახდა ვარსკვლავ „კეპლერი-33"-ის სისტემა, რომელიც მზეზე უფრო მასიური და უფროსია.

* * *

**ახალი დავა რუსეთთან გაეროს უშიშროების საბჭოში: დასავლეთი წარმოადგენს თავის რეზოლუციას სირიასთან დაკავშირებით**



ახალ დოკუმენტში, რომელიც მოამზადეს ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, გერმანიამ და პორტუგალიამ, მაგრამ წარმოდგენილია მაროკოს საფარქვეშ, სთხოვენ სირიის პრეზიდენტს ხელისუფლება გადასცეს „სახალხო მთავრობას", შეწყვიტოს სისხლისღვრა და გაათავისუფლოს პოლიტპატიმრები, აგრეთვე ეშმაკურად სთავაზობენ სანქციების შემოღებასაც.

* * *

**ობამას თანაშემწეებმა განახორციელეს მისი ოპონენტების წინასაარჩევნო თეორიების პროტესტირება: ისინი „არ მუშაობენ"**



თავად ობამა აღიარებს, რომ არ არის უზადო ხელმძღვანელი სახელმწიფოსი („შეცდომებს ვუშვებ ყოველ საათში, ყოველდღე"), მაგრამ გამოთქვა რწმენა არჩეული კურსის სისწორეში და განაცხადა, რომ იმედი აქვს გაიმარჯვებს მომავალ არჩევნებში მიმდინარე წლის ნოემბერში: „მე ახლა, როგორც პრეზიდენტი, უკეთესი ვარ, ვიდრე იმ დღეს, როდესაც პირველად შევედი თეთრ სახლში".

* * *

**აშშ-მ გადაწყვიტა შეამციროს სახმელეთო ჯარები 80 ათასი კაცით**

45 ბრიგადის ნაცვლად იქნება მხოლოდ 32. ეს არის აუცილებელი ზომა, რომელიც პრეზიდენტ ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ ხელახლა გაიაზრა არმიის წინაშე დასახულ ამოცანებთან, აგრეთვე პენტაგონის ბიუჯეტის შემცირებასთან დაკავშირებით, იტყობინება ერთ-ერთი გაზეთი. ამერიკას დაიცავენ მცირერიცხოვანი სპეცნაზელები და სამხედრო ბაზები უცხოეთში.



ხვალ

# გუდაურის სათავეებთან და გრენობლის „პომას“ მისადგომებთან



**დღეს საქართველოში ყველასათვის ცნობილია და ყველასათვის საყვარელი სამთო-სათხილამურო სპორტის ახალი ცენტრი გუდაური. ამ დღეებშიც აქ ბევრმა იხილა ადგილზეც და სატელევიზიო გადაცემებითაც, როგორი ზეიმით აღინიშნა თოვლის საერთაშორისო დღე თავისი გასართობი და სპორტული ღონისძიებებით, უნიკალური ბუნებითა და სპორტული ნაგებობებით, ასე რომ გხიბლავს და გახარებს, და რომელიც დღითი დღე იხვეჭს საერთაშორისო მიმზიდველობასა და ავტორიტეტს.**

ვფიქრობთ, ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ამ ახალი სპორტული ცენტრის ჩამოყალიბების ისტორიისა და განვითარების გზების გახსენება.

მაგრამ ვიდრე გუდაურზე საუბარს დავიწყებდეთ, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ საქართველოში სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარება სათავეებს ბაკურიანიდან იღებს. აქ აღიზარდნენ ჩვენი სახელოვანი მოთხილამურეები, რომლებმაც ასახელეს საქართველო საერთაშორისო შეჯიბრებებში. საკმარისია ამისთვის გავიხსენოთ ჩვენი ლეგენდარული მოთხილამურე, ევროპის ჩემპიონატისა და სხვა საერთაშორისო შეჯიბრებების გამარჯვებული, „მფრინავი ტორპედო“ კობა წაქაძე. ბაკურიანში წვრთნას გადიოდნენ არა მხოლოდ ქართველი, არამედ ცნობილი სპორტსმენები საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან.

ასეთმა გარემოებამ 1980 წელს დღის წესრიგში დააყენა საკითხი ბაკურიანში საერთაშორისო სამთო-სათხილამურო ცენტრის შექმნის შესახებ. ამასთან დაკავშირებით არჩევანი შეჩერდა იტალიაზე, საიდანაც მოიწვიეს სპეციალისტების დიდი ჯგუფი. მათი მონაწილეობით ამ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო სიმპოზიუმიც კი გაიმართა. საქართველოს მხრიდან ამ საშვილიშვილო საქმეს საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ოთარ ჩერქეზია ხელმძღვანელობდა.

ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ როგორც კი საკითხის განხილვა საკავშირო დონეზე მოხდა, გადაწყვეტილების მიღება გაურკვეველი დროით გადაიდო.

სათხილამურო სპორტის მოყვარულებმა და მესვეურებმა დაიწყეს თბილისის სიახლოვეს ახალი სამთო-სათხილამურო ბაზისთვის ადგილის ძიება. პირველად მოსინჯეს დუშეთის რაიონის სოფელ მლეთის მიდამოები, მაგრამ კეთილმა და შორსმჭვრეტელმა დუშელებმა თხილამურების მოყვარულ სპორტსმენებს სამთო-სათხილამურო ცენტრის მოსაწყობად უკეთესი ადგილი შეურჩიეს. ეს იყო გუდაური.

მისმა გაცნობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და მოთხილამურეებმა თავიანთი განწყობილება რესპუბლიკის მთავრობის დონემდე მიიტანეს.

რეაქციამაც არ დააყოვნა, რესპუბლიკის უმაღლესი ხელმძღვანელობა ჩავიდა გუდაურში, ადგილზე გაეცნო მომავალი სათხილამურო ცენტრის შექმნისა და განვითარების შესაძლო პერსპექტივებს. დაუყოვნებლივ იქნა მიღებული გადაწყვეტილება გუდაურში სამთო-სათხილამურო ცენტრის შექმნისა და მისი ინფრასტრუქტურის სამუშაოთა დაწყების შესახებ. ინფრასტრუქტურის შექმნის სამუშაოთა შესრულება ცეკავშირის გამგეობას დაევალა, ბაგირგზების დაპროექტება და მშენებლობა — საქართველოს სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სახელმწიფო კომიტეტს (საქსახკომსპეცტრანსს).

რასაკვირველია, ყველაფერი მოითხოვდა სათანადო დაფინანსების მოძიებას, სამუშაოთა დაუყოვნებლივ დაწყებას ნულიდან.

იმის შესახებ, თუ როგორ წარიმართა დასახული სამუშაოების დაწყება და შესრულება, ჩვენ გავესაუბრეთ მაშინდელი საქსახკომსპეცტრანსის თავმჯდომარეს, ამჟამად კი საქართველოს საბაგირო და მონორელსური ტრანსპორტის ასოციაციის თავმჯდომარეს, გენერალურ კონსტრუქტორს, პროფესორ შოთა ორჯონიკიძეს.

— უწინარეს ყოვლისა, — გვითხრა ბატონმა შოთამ, — მოთხილამურეთა რეკომენდაციით, საქმის დასაჩქარებლად მოგვიხდა თელავის ცივის მთიდან ჩეხური ტიპის ერთი კილომეტრის სიგრძის ბაგირგზის მოწყობილობის დემონტაჟი, მისი გადმოტანა და მონტაჟი გუდაურის შერჩეულ ტრასაზე.

უმოკლეს დროში ამოქმედდა პირველი საბუქსირე ტიპის ბაგირგზა, რომლის საზეიმო გახსნას თბილისიდან ჩამოსული სამთო-სათხილამურო სპორტის მრავალი მოყვარული და რესპუბლიკის ხელმძღვანელობა დაესწრო.

ეს ბაგირგზა ფეხბედნიერი აღმოჩნდა, ვინაიდან საქართველოს ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ორი წრიული ტიპის ბაგირგზის დაპროექტებისა და მშენებლობის შესახებ. რა თქმა უნდა, დაფინანსება ამისთვის რესპუბლიკის ბიუჯეტში გათვალისწინებული არ იყო. მოგვიხდა ამ ბაგირგზების დაპროექტებისა და მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დამუშავება, რომელიც მოიწონეს საქართველოს და საკავშირო ორგანოების ყველა იერარქიულ დონეზე. საბედნიეროდ, მიუხედავად გარკვეული სიძნელეებისა, მოსკოვში სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გამოთქვა წინასწარი თანხმობა საჭირო თანხის გამოყოფის შესახებ, თავიანთი წარმომადგენელიც გამოგზავნეს გუდაურში საკითხის მიზანშეწონილობის შესამოწმებლად.

მალე სათანადო თანხა გამოიყო. ორივე ბაგირგზის ეტაპობრივად დაპროექტება და მშენებლობა განახორციელა საქსახკომსპეცტრანსის სამეცნიერო-კვლევითმა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტმა — „სპეცტრანსავტომატიკამ“ ექსპერიმენტული ბაზით ქ.თბილისში. საყრდენი კონსტრუქციები დაამზადა ინსტიტუტის საცდელმა ქარხანამ „ბაგირგზატექნიკამ“, ამძრავი მოწყობილობები — ლენინგრადის კოტლიაკოვის ქარხანამ, ხოლო ბაგირგზები — უკრაინის ქალაქ ხარცისკის ქარხანამ.

ბაგირგზების მშენებლობისა და მონტაჟის პერიოდში, რაც რთული რელიეფის პირობებში მიმდინარეობდა, საჭირო გახდა სპეციალური შვეულმფრენისა და მახლობელი სამხედრო ბაზიდან წამოყვანილი ტანკის გამოყენება.

აღნიშნულ სამუშაოთა კომპლექსი საქართველოში პირველად განხორციელდა. მათ მაღალი შეფასებაც დაიმსახურეს.

დასახული მიზანი მიღწეული იქნა და 1985 წლის დასაწყისში გუდაურში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია ადგილობრივ ბაზაზე. მიღებული გადაწყვეტილებით შესაძლებელი გახდა გუდაურის სამთო-სათხილამურო ცენტრად მონათლვა.

სასიამოვნოა იმის გახსენება, რომ კონფერენციის გახსნის დროს ბატონმა ოთარ ჩერქეზიამ მისთვის ჩვეული გულწრფელობით ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ იქნებოდა გუდაური, თუ არა სახკომსპეცტრანსი და მისი სპეციალიზებული ორგანიზაციებიო.

შესრულებულმა სამუშაოებმა შესაძლებელი გახადა მსოფლიოში ცნობილი ავსტრიული ფირმის დოპელმაიერის კონსტრუქციის ბაგირგზების შეძენა და გუდაურში მათი დანერგვით საერთაშორისო ავტორიტეტის მოხვეჭა. ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართველების უცხოელ სიძეს ბატონ ლეოპოლდ ბაუსბეკს. მასვე ეკუთვნის იდეა უცხოელი მოთხილამურე ტურისტების მოსაზიდად თბილისში სასტუმრო „შერატონის“ აგების შესახებ, საიდანაც საათნახევარში შეიძლება მათი გუდაურში ჩაყვანა.

ამჟამად გუდაური თბილისის მერიის გამგებლობაში გადავიდა, რამაც ბევრი სიკეთე მოიტანა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ თავის დროზე გრენობლში კომპანია „პომასთან“ შეუმდგარი კონტრაქტის მიუხედავად, საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის საქართველოში ბოლო ვიზიტის დროს მიღწეული იქნა მნიშვნელოვანი კრედიტის გამოყოფა საქართველოსთვის და კომპანია „პომას“ 10-კაციანი გონდოლური ტიპის ბაგირგზის მოწყობილობის შეძენა და მისი მშენებლობის დაწყება. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილეს ბატონ გიორგი კარბელაშვილს.

ასეთია გუდაურის განვითარების ისტორიის მოკლე მიმოხილვა. იმედს გამოვთქვამთ, რომ მალე ჩვენი გუდაური თავისი თანამედროვე ბაგირგზებითა და სასტუმროებით აღიარებული იქნება საერთაშორისო სამთო-სათხილამურო ცენტრად.

**ზურაბ ლომიძე**

ერიჰა!

# „მწვანეები“ — „ცისფრების“ მოფერებაში

**ამერიკის შეერთებულ შტატებში სექსუალურ უმცირესობათა მხარდაჭერის მსოფლიო ფონდი შეიქმნა.**

— ზოგიერთებს მიაჩნიათ, რომ ადამიანის უფლებები ჰომოსექსუალისტებზე არ ვრცელდება. ჰოდა, მათ უნდა იცოდნენ, რომ ადამიანის უფლებები ყველასთვის ერთია, — განაცხადა ჟენევაში გამოსვლისას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა.

მან ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ლესბოსელთა, ჰომოსექსუალისტთა, ბისექსუალთა და ტრანსჰენდერთა თანამეგობრობებს მთელ მსოფლიოში თვით ქვეყნის პრეზიდენტი ბარაკ ობამაც უჭერს მხარს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე შეიქმნა „მსოფლიო თანასწორობის ფონდი“, რომელიც საზღვარგარეთ სექსუმცირესობათა დამცველ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დაეხმარება. ჯერჯერობით ფონდმა მხოლოდ სამი მილიონი დოლარის შეგროვება შეძლო, მაგრამ ვაშინგტონში იმედოვნებენ, რომ ამ წამოწყებას სხვა ქვეყნებიც აუბამენ მხარს.

ამერიკის ხელისუფალთ მიაჩნიათ, რომ რუსეთში ამ სფეროში სტანდარტები სათანადო დონეზე არ არის, რისთვისაც იგი უნდა დაისაჯოს. ამის დასტურია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტსა და სანკტ-პეტერბურგის საკანონმდებლო კრების ამ ცოტა ხნის წინანდელი კონფლიქტი. **ოკეანის გაღმიდან პიტერელი დეპუტატები კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს იმის გამო, რომ მათ არასრულწლოვანთა შორის ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდისთვის ჯარიმების შესახებ კანონი მიიღეს.**

პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ საგანგებო დირექტივას მოაწერა ხელი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ **ამიერიდან ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სხვა ქვეყნებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა იმაზეც იქნება დამოკიდებული, თუ რამდენადაა იქ დაცული სექსუალურ უმცირესობათა უფლებები.**

**ირმა ირემაშვილი**

ინფორმაცია

## ლეიბორისტები გაზის კომპანიებს უკანონო მანიპულაციებში ადანაშაულებენ

**როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახაბერ ძაგანიამ განაცხადა, გაზმომარაგების კომპანიები ბუნებრივ აირში ნივთიერებებს ურევენ, რის გამოც გაზი მოსახლეობას დაბალი წნევით მიეწოდება, თუმცა გადასახადი გასამმაგებული რაოდენობით ერიცხებათ.**

**— ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო, ამ პრინციპით ცივ ზამთარს საakaშვილ-უგულავას კონტროლირებადი გაზის კომპანია იყენებს მოსახლეობის გასაძარცვად. უკანონო მანიპულაციების გზით, გაზის წნევის ხელოვნურად დაწევისა და მასში გარკვეული ნივთიერების შერევით, მომხმარებელი ღებულობს სამმაგ გადასახადს. გაყინული მოსახლეობისგან წაგლეჯილი თანხები მოხმარდება ხელისუფლების ზამთრის კურორტებზე გრიალს, ასევე არჩევნების გაყალბებას. ეს ქმედება არის დანაშაული, რაც გამოიხატება მოსახლეობის მასობრივ მოტყუებასა და ძარცვაში, — განაცხადა კახაბერ ძაგანიამ.**

**მისივე თქმით, „ლეიბორისტული პარტია“ მიმართავს პროკურატურას, რათა დაუყოვნებლივ აღძრას სისხლის სამართლის საქმე და აღკვეთოს გაზის კომპანიის ყაჩაღური საქმიანობა.**

## ვიდეოკამერების დამონტაჟება გამაფრთხილებელი ნიშნით სავალდებულო ხდება

**ვიდეოკამერების დამონტაჟება შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნით სავალდებულო ხდება. ცვლილება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონში შევიდა. „კანონის მიხედვით, როგორც ქუჩაში, ისე შენობაში, სადაც ვიდეოკონტროლი მიმდინარეობს, აუცილებელია, არსებობდეს სპეციალური მინიშნება, რათა მოქალაქეები გადაღების შესახებ ინფორმირებულნი იყვნენ. ეს პერსონალური მონაცემების დაცვის გამკაცრების ერთ-ერთი მექანიზმია, — განუცხადა ჟურნალისტებს იუსტიციის სამინისტროს კვლევისა და ანალიზის სამმართველოს უფროსმა ნინო სარიშვილმა აღნიშნულ კანონზე საუბრისას, რომლის პრეზენტაციაც უწყებაში გუშინ გაიმართა.**

**მისივე განმარტებით, აქამდე ვიდეოთვალებთან დაკავშირებით ასეთი ვალდებულება არ არსებობდა. კანონი მიმდინარე წლის 1-ელი მაისიდან ამოქმედდება.**

## სინოპტიკოსები მთელ საქართველოში ტემპერატურის ვარდნას და ყინვებს ვარაუდობენ

**სინოპტიკოსები მთელი საქართველოს მასშტაბით ტემპერატურის ვარდნას და ყინვებს ვარაუდობენ. როგორც გარემოს დაცვის სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელმა სვეტლანა ნიორაძემ განუცხადა, აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში თოვა შენარჩუნდება. თოვს თბილისშიც. წვიმა თოვაში გადაიზრდება დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონშიც, მათ შორის — ზუგდიდსა და ქუთაისში.**

**სინოპტიკოსები მთელი საქართველოს მასშტაბით ტემპერატურის ვარდნას და ყინვებს ვარაუდობენ.**

**29 იანვრიდან გამოდარება დაიწყება და ყინვები გაძლიერდება. სვეტლანა ნიორაძის ინფორმაციით, უნალექო ამინდებია მოსალოდნელი 30 და 31 იანვარს, თუმცა თებერვლის დასაწყისიდან სინოპტიკოსები ისევ ნალექს ვარაუდობენ.**

ინტერპრესი

◎ კალათბურთი

# მწვრთნელს+ჯიბარი=„ქუთაისს"

**საქართველოს ეროვნული თასის საიუბილეო X გათამაშების ფინალში, 30 იანვარს თბილისის სპორტის სასახლეში 17 საათზე რომ უნდა დაიწყოს, ყველა მოუთმენლად ელოდა სუპერლიგის ლიდერების „არმიისა" და „ოლიმპის" მორიგ უკომპრომისო ბრძოლას, მაგრამ სპეციალისტთა და გულშემატკივართა პროგნოზი ნახევარფინალში „ქუთაისმა" დაამსხვრია.**

**„ქუთაისი" – „ოლიმპი" 58:55**

რიონისპირელებს შუა სეზონში სათავეში დავით უსტიაშვილი ჩაუდგა და ახალ შეგირდთა თამაშს უმალ დააჩნია სასიკეთო კვალი. ეს განსაკუთრებით დაცვაზე ითქმის, რასაც მეოთხედფინალში ასევე შესამჩნევად მოლონიერებულ თბილისის „დინამოსთან" მატჩის შედეგიც მოწმობს – 66:65. კაცმა გია კაზანჯიანმა და ძნელია არ დაეთანხმო მას.

დავძენთ, რომ ქუთათურთა მოგების ერთ-ერთი საიდუმლო, ალბათ, „უსტოს" თანაშემწის, ახლო წარსულში რეაქტიული სისწრაფის გამთამაშებლის გელა დარსაძის გაკვეთილებშიც იმალება. მათი რჩევები ამჯერად ყველაზე უფრო დიდიამ, ცეკვავამ და მათიაშვილმა გაითვალისწინეს.



აი, ტურნირის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტთან დუელში კი სტუმრებმა კიდევ უფრო „მოუქირეს" მეტოქეს და სენსაციაც გამოაცხვეს. როცა 19-დან მხოლოდ 2 სამქულიანს ჩააგდებ, წარმატებაზე არც უნდა იფიქროო, – განცხადა საფინალო სასტვენის შემდეგ დამარცხებულთა თავ-

**„არმია" – შსს 99:83**

საოცარი დამთხვევაა – ზუსტად ასეთი ანგარიშით დასრულდა ამავე გუნდების ამასწინანდელი საჩემპიონატო მატჩიც და ამჯერადაც ქვეყნის მოქმედ ჩემპიონთა გამარჯვებაში უდიდესი წვლილი ლეგიონერებმა შეიტანეს: თომასი – 29, რიჩარდსონი – 26, ვუდსაიდი – 17, შელბომი – 14, ბოისა – 9, ბაბიაშვილი – 2, საყვარელიძე – 2 ქულა.

მართალია, დღის გმირმა – სამართალდამცავთა ლიდერმა ბლერმა უკეთეს პირად მონაგარს მოუყარა თავი – 32 ქულა, მაგრამ ერთი მერცხლის ჭიკჭიკმა ამ შემთხვევაში გაზაფხული ვერ მოიყვანა.

◎ ჭადრაკი

# ლიდერი არონიანია



**თუმცა მე-9 ტურამდე ჰოლანდიის ვეიკ-ან-ზეეში 21-ე კატეგორიის საჭადრაკო ტურნირში კარლსენ-არონიანის დუეტი ლიდერობდა, მაგრამ მე-9 ტურში ახალგაზრდა ნორვეგიელი დამარცხდა რუსეთელ კარიაკინთან, არონიანმა კი დაამარცხა კარუანა და 6,5 ქულით ტურნირის ლიდერი გახდა.**

მომდევნო ტურში არონიანმა კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა, მასპინძელი გირი დაამარცხა და უფრო განიმტკიცა ლიდერობა, კარლსენი კი ყაიმზე შეუთანხმდა ნაკამურას. ორივე ტურში გაიმარჯვა ივანჩუკმა – ჯერ გირი დაამარცხა, შემდეგ კი ნავარა.

ასე რომ, 10 ტურის შემდეგ 7,5 ქულით ლიდერობს არონიანი, მეორე ადგილზეა ივანჩუკი, 6,5 ქულა. შემდეგ 6-6 ქულით მოდიან კარლსენი და რაჯაბოვი, ხოლო 5,5-5,5 ქულით – კარუანა და ნაკამურა, 5-5 აქვთ ვან ველისა და კამსკის, 4,5 ქულა – კარიაკინს, ოთხეულს – გაშიმოვს, გელფანდს, გირის, ტოპალოვს 4 ქულა აქვთ, ბოლო ადგილზე კი ნავარაა – 2,5 ქულა. დარჩენილი სამი ტურის შედეგებს მომავალ კვირაში გაგაცნობთ.

◎ ჭიდაობა

# გზად ბაკურიანისკენ



**ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ახალგაზრდებმა, შიდა კონკურენციის ახალი ლიდერები რვავე წონით კატეგორიაში გამოავლინეს. სპორტკომპლექს „არენაში" ჩატარებული ტურნირის მეორე დღეს მედლები 55, 66, 84 და 120 კილოგრამებში გათამაშდა.**

55 კილოგრამში შეჯიბრება წაუგებლად აჭარელმა რამაზ სურმანიძემ ჩაამთავრა. გადამწყვეტ ბრძოლაში მან ზესტაფონელ აბესალომ ქათამაძეს მოუგო. ბრინჯაოს პრიზიორები კი ნიკა ცეცხლაძე და ელნარ შავაძე გახდნენ. ცნობისთვის, ცეცხლაძე და შავაძე ჭაბუკთა შორის 50 კილოგრამ წონით კატეგორიაში ევროპის პრიზიორები არიან.

66 კილოგრამში, უმთავრესი ფავორიტი ფირუზ წულუკიძე იყო. ჭაბუკებში ევროპის შარშანწინდელმა ჩემპიონმა (63 კგძ, თავისი შესაძლებლობა ახლახან უფროსებშიც დაამტკიცა – საქართველოს პირველობაზე ეფექტური გამარჯვებების შემდეგ, მხოლოდ ფინალში წააგო თავისზე ბევრად გამოცდილ ირაკლი ჭოჭუასთან და ვერცხლს დაეუფლა. თავის ასაკობრივ ჯგუფში კი, ყველა მეტოქეს აჯობა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

შარშანდელი ფინალი განმეორდა 84 კილოგრამში, ოღონდ, თუ მაშინ რობერტ ქობლიაშვილმა დავით ჩაკვეტაძეს სძლია, ამჯერად ჩაკვეტაძემ აიღო რევანში. მძიმე წონაში კი, ჩემპიონი თბილისელი ლევან არაბული გახდა. გადამწყვეტ შეხვედრაში მან ჭაბუკ მძიმეწონოსანს (100 კგძ, მსოფლიოს შარშანდელი პირველობის ფინალისტს, ზურაბ გედეხაურს მოუგო. ბრინჯაოს მედლებს კი, შარშანდელის მსგავსად, გიორგი ხაბაშვილი და მუხრან ჭანტურიძე დაეუფლნენ.

8 თებერვალს, ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ ადეიშვილი საქართველოს ჩემპიონატის მედალოსნებით დაკომპლექტებულ შემადგენლობას ბაკურიანულ შეკრებაზე იახლებს.

**ჩემპიონთა გალერეა**

**50 კგ.** დავით სანიკიანი (ქუთაისიძ

**55 კგ.** რამაზ სურმანიძე (აჭარაძ.

**60 კგ.** ამირან შავაძე (აჭარაძ

**66 კგ.** ფირუზ წულუკიძე (აჭარაძ.

**74 კგ.** ლაშა გობაძე (აჭარაძ.

**84 კგ.** დავით ჩაკვეტაძე (ქუთაისიძ.

**96 კგ.** იაკობ ქაჯაია (წყალტუბოძ.

**120 კგ.** ლევან არაბული (თბილისიძ.

◎ რაგბი

# ფრანგები ლეგიონერებს გვიფასებენ

**საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების წევრებმა, პირველხაზელმა დავით ზირაქაშვილმა და მესამეხაზელმა ვიტო კოლელიშვილმა საფრანგეთის გრანდ „კლერმონთან" ახალი კონტრაქტები გააფორმეს და იქ მინიმუმ ორ-ორი წლით დარჩებიან.**

„კლერმონმა" წამყვან მორაგბეებთან კონტრაქტების გახანგრძლივების ესტაფეტა ცოტა ხნის წინათ დაიწყო და ჯერი ქართველ მორაგბეებზეც მიდგა. 27 წლის ზირაქაშვილს, რომელსაც მაჯა აქვს მოტეხილი და მკურნალობს, კლუბმა გარჯა დაუფასა და ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა, შეთანხმების კიდევ ერთი წლით გახანგრძლივების პერსპექტივით. ამ ფაქტმა კლუბის დირექტორი ჟან-მარკ ლერმე ძლიერ გაახარა.

„კონტრაქტების გახანგრძლივება კლუბისთვის დიდი მოვლენაა. დათო ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა იყო „კლერმონისთვის". ის ჩვენი ოჯახის წევრია და მოხარული ვარ, რომ მისი აქ ყოფნის უწყვეტობა კიდევ რამდენიმე წლით გაგრძელდება. ჩვენი პოლიტიკა ასეთია – წამყვანი მორაგბეები უნდა შევინარჩუნოთ. ზირაქაშვილთან კონტრაქტის გახანგრძლივება ამის დასტურია. ბედნიერი ვარ, რომ ის მომავალშიც დაიცავს ჩვენი გუნდის ღირსებას. ვიცი, რომ „კლერმონთან" კონტრაქტის გახანგრძლივებით დათოც ბედნიერია", – თქვა ლერმემ.

27 წლის ზირაქაშვილი „კლერმონში" 2004 წლიდან თამაშობს და Top 14-ში ჩატარებულ 137 შეხვედრაში 13 ლელო გაიტანა. გარდა ამისა, ქართველ ბურჯს ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირ „ჰაინეკენის თასზე" 26, ხოლო „ჩელენჯ ქაფზე" ექვსი (ერთი ლელოძ მატჩი დაუგროვდა. ეროვნულ გუნდში ზირაქაშვი-



ლის დებიუტი 2004 წელს, ურუგვაის ნაკრებთან შედგა. მას შემდეგ მან „ბორჯღალოსანთა" კვართი 31 თამაშში მოირგო და 7 ლელო მიითვალა. დათოს ორ მსოფლიო თასზე აქვს ნათამაშები, ერთხელ მსოფლიოს ნაკრებში ითამაშა, ერთხელ იყო საფრანგეთის ჩემპიონი, 2010 წელს კი, საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს.

ძირითადი შემადგენლობის დაბევების შემდეგ, ჯერი ახალგაზრდა მორაგბეებზე მიდგა, მათ შორის 22 წლის ვიტო კოლელიშვილზე, რომელიც ორი წელია „კლერმონის" „ესპუარებში" (დუბლშემადგენლობაძ წარმატებით თამაშობს. ახლა მან კლუბთან პირველი პროფესიული კონტრაქტი გააფორმა და უნდა ვივარაუდოთ, რომ უახლოეს პერიოდში ძირითად გუნდშიც გამოჩნდება. „კლერმონის" სკოლა ერთ-ერთი საუკეთესოა საფრანგეთში და ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ბოლო წლებში იქიდან პირველ გუნდში რვა მორაგბე დაწინაურდა.

კოლელიშვილმა კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და იქ მინიმუმ 2014 წლამდე დარჩება. მხარეების სურვილის შემთხვევაში, შეთანხმებაში დევს პუნქტი, რომლის მიხედვითაც კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გახანგრძლივდება.

„ვიტოსთან, რომელმაც საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში 2011 წლის მსოფლიო თასზე ითამაშა, პროფესიული კონტრაქტი პირველად გავაფორმეთ და ამ ფაქტით ძლიერ კმაყოფილი ვარ. ის ჩვენთან საქართველოს რაგბის კავშირთან დამყარებული კონტაქტის შედეგად მოხვდა და აგერ უკვე ხელშეკრულებაც გავუფორმეთ. კოლელიშვილის სახით, ამ ურთიერთობამ პირველი წარმატება უკვე მოგვიტანა და ვიმედოვნებ, ჩვენი ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდება", – განაცხადა ლერმემ.

ეროვნულ გუნდში კოლელიშვილის დებიუტი 2008 წელს ბუქარესტში, იტალიის A ნაკრებთან 25:3 მოგებულ შეხვედრაში შედგა. 2010 წლიდან ის „ბორჯღალოსნების" უცვლელ წევრად იქცა, ნაკრების კვართი 12 თამაშში მოირგო და ერთხელ ლელოც გაიტანა.

◎ ინტერნეტიდან

## „ხელგაშლილი" ბრიტანეთი?

**2012 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშების მოსამზადებლად ბრიტანეთის ხარჯები ხუთჯერ აღემატება 2005 წლის მონაცემებს, რაც ამ თამაშების მასპინძლობის მოსაგებ განაცხადში იყო შეტანილი და რაც ტელეარხმა Sky Hews გამოიძია.**

ტელეარხის მონაცემებით, თამაშების მომზადება-ჩატარება 12 მილიარდი გირვანქა სტერლინგი დაჯდება, თუმცა დამატებითმა ხარჯებმა ის, შესაძლოა, 24 მილიარდამდე გაზარდოს, რაც 10-ჯერ აღემატება წინანდელ ინფორმაციას. მაშინ მითითებული იყო დაახლოებით 2,37 მილიარდი გირვანქა. 2007 წლისთვის ეს თანხა კი 9,3 მილიარდამდე გაიზარდა.

გამოძიების თანახმად, უკვე დამატებით დახარჯულია კიდევ 2,42 მილიარდი გირვანქა – ანტიდოპინგის კონტროლის ოფიცრებზე, ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტის საორგანიზაციო პუნქტებზე, მუშათა გაფიცვის ჩახშობაზე, სამთავრობო ხარჯები, სპორტული ობიექტებისთვის მიწის შეძენაზე და სხვ.



## ბილეთები დაიტაცეს



**ინგლისის სახელმწიფო მოხელეებმა რამდენიმე დღეში დაიტაცეს ქალთა პლაჟის ფრენბურთის 400-ზე მეტი ბილეთი. სალაროსთან კინაღამ ჩხუბიც კი გაიმართა, რადგან ძალზე ბევრს უნდოდა ბურთის ოსტატი ლამაზმანების ხილვა.**

მთავრობამ თავისი ჩინოვნიკებისთვის 9 ათასამდე ბილეთი შეიძინა, რაზეც 750 ათასი ევრო დახარჯა. ასე რომ, ისინი უპრობლემოდ დაესწრებიან სასიამოვნო სანახაობას.

ბილეთების გამსაღებელი განყოფილების უფროსმა ჯონათან სტივენსმა განაცხადა, რომ არ მოელოდა ქალთა ფრენბურთის ასეთ პოპულარობას. თუმცა მთავარი ფრენბურთი კი არა, თითქმის გაშიშვლებული ქალიშვილების ხილვაა.

## სახე გაიახალგაზრდავა

**ცნობილი ჰოლივუდელი მსახიობი ქალი, ბეისბოლისტ ალექს როდრიგესის ყოფილი გულისვარდი კამერონ დიასი აპირებს თავისი გარეგნობის კარდინალურ ცვლილებებს. ამას წინათ მან პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა მკერდის გასადიდებლად, სახეც შეიცვალა და ვარცხნილობაც.**



პარიზის მოდის გამოფენებზე კამერონი გამოჩნდა კოსმეტიკის მინიმუმით, ის უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. მას ძალზე გადატკეცილი შუბლი ჰქონდა, რაც მისი ასაკის ქალისთვის უცხოა. „მის სახეზე რაღაც უჩვეულო გამოჩნდა, არ მგონია, რომ მან ის გადაიჭიმა", – შენიშნა ქირურგმა ეტონი იუნიმ. როდრიგესს ის ამ ორიოდე თვის წინათ განშორდა. ახლა კი ცხოვრებას „სუფთა ფურცლიდან" იწყებს, რასაც განახლების პროცესის შედეგად მიიჩნევენ.

## წელიწადი — გამოცანა

**თანდათან ვუახლოვდებით 2012 წლის 21 დეკემბერს, მაიას ტომის კალენდრით ჩვენი პლანეტის დასასრულად რომაა ნაწინასწარმეტყველები. მაგრამ როგორც გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა ვ გრუზიი" წერს, 2012 წელს აპოკალიფსი არ შედგება. იქამდე ჯერ კარგად შორსააო, — გვეუბნებიან სტატიის ავტორები დიმიტრი და ნადეჟდა ზიმები.**

**თუმცა 21 დეკემბერს დამთავრდება მეხუთე მზის დიდი ეპოქის ბოლო დღე (სიტყვა „მზე" მაიას ენაზე „კინ" ნიშნავს „დროს, პერიოდს"), ალბათ ძნელი მისახვედრი არაა, რომ შემდეგ დაიწყება ახალი ეპოქა. ამჯერად მეექვსე.**

**აი, რას წერს ყოველივე ამის შესახებ გაზეთი:**

# ჩვენი პლანეტა



# არ განადგურდება?!

### გჯერა — არ გჯერა

**საერთოდ რამდენად შეიძლება გვწამდეს მაიას კალენდრისა და მისი წინასწარმეტყველებისა? თურმე, შეიძლება, ძალიანაც გვჯეროდეს! მოდით, გადავხედოთ 2011 წლის პროგნოზს. წელი მიმდინარეობდა მაიას ნიშნით ავდარი (ჭექა-ქუხილიძ. ამ პროგნოზში მითითებული იყო, რომ ამ ნიშნის წლებში მუდამ ხდება ძალზე ხმაურიანი მოვლენები, ღრმა კვალს რომ ტოვებენ. ამ შფოთიანი ნიშნის წელს ჩაიძირა „ტიტანიკი", დაიშალა საბჭოთა კავშირი, აგორდა უტორგეიტის სკანდალი.**

2011 წელი ამ მხრივ გამონაკლისი როდი იყო. საკმარისია, გავიხსენოთ ომი ლიბიაში, კადაფის მკვლელობა, რევოლუცია არაბულ სამყაროში, ამას გარდა წელი დაგვამახსოვრდა უძლიერესი ცუნამით იაპონიაში, ატომური ელექტროსადგურის „ფუკუსიმას" აფეთქებით. ისე რომ, მაიასეული პროგნოზი იმაზე, რომ ჭექა-ქუხილის წელი იქნება ხმაურიანი და სკანდალური, მთლიანად გამართლდა.

რაც შეეხება უკვე დამდგარ 2012 წელს, ის ჩაივლის გაცილებით გაწონასწორებული, ახაუს ნიშნით. რაც მაიას ენაზე ნიშნავს მეუფეს, მბრძანებელს. ჭექა-ქუხილისაგან განსხვავებით მეუფე ფლობს ერთობ გაწონასწორებულ ხასიათს, ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ 2012 წელი იქნება მშვიდი, პირიქით, წელი გვპირდება, რომ იქნება ძლიერი ემოციებით აღვსილი, სულ სხვა საქმეა, რომ ეს ემოციები იქნება გაწონასწორებული და იშვიათად გამოვა კონტროლიდან.

### მეუფეც მობრძანდა

**საერთოდ დამდგარი წელიწადი გასაოცრად კარგი იქნება დიდი საქმეების აღსრულებისთვის, თანაც ის კეთილსასურველი იქნება, როგორც ახალი წამოწყებისთვის, ასევე ადრე დაწყებული პროექტებისთვის. ისინი, ვინც გულხელდაკრეფილნი არ ისხდნენ, ღირსეულ მოსავალსაც მიიღებენ და შესაძლებელია, ახალი პერსპექტიული პროექტებიც წამოიწყონ.**

ყველამ, ვისაც სურს დაწყებულ წელიწადში წარმატების მოპოვება, უნდა გაითვალისწინოს, რომ მეუფის ნიშანი მინიშნებაა ხელისუფლებისა და ძალისა, მაგრამ არა უხეში ძალისა, არამედ გააზრებულისა და ბრძნულისა, სწორედ ამიტომ 2012 წელს განსაკუთრებული წარმატებით ისარგებლებენ ადამიანები, ვისაც ძალუძს შთააგონოს და გაიყოლიოს სხვები, გამორჩეულნი შეუპოვრობითა და ნებისყოფით როგორც პოლიტიკაში, ისე ბიზნესსა და სიყვარულში. ეს წელი იქნება გამორჩეული ძლიერი ხასიათის ლიდერებით. საერთოდ კი დამდგარ წელიწადში უკეთესი იქნება, იყო ცოტათი დიქტატორი (რასაკვირველია გადაჭარბებით კი არაძ, ვიდრე გამოავლინო სისუსტე და სულმოკლეობა.

ამავე დროს, გამოავლენს რა ლიდერის თვისებებს, არ უნდა დაავიწყდეს ისიც, რომ წარმატება მათი თანაგზავრი იქნება, ვისაც შეეძლება მხოლოდ ბრძანებების გაცემა კი არა, არამედ ურთიერთსასარგებლო გადაწყვეტილებების გამოძებნაც და კომპრომისებზე წასვლაც.

თანაც თქვენ თუ არ გაგაჩნიათ ბრძენი ლიდერის შემართება, ეს საშიში როდია, — წარმატების მოსაპოვებლად აუცილებელი როდია, თავად იყო პირველი. საკმარისია იმათ ფარვატერში ყოფნა, ვინც იცის თავისი საქმე და დარწმუნებულია თავის თავში.

ასეთად ყოფნას გვპირდება მაიასეული მეუფის წელი. თუმცა 2012 წელი ასეთი პლანით განსაკუთრებულია, რადგან სწორედ მას ემთხვევა მეხუთე მზის ეპოქის დასასრული, რომელიც გრძელდება არც მეტი და არც ნაკლები 5200 მაიას წელიწადს. უფრო მეტიც, მეუფე წამმართველი ნიშანია მთელი ჩვენი ეპოქისა და ამიტომაც ყველაფერი, რაც ითქვა ამ ბრძენ და ძლიერ ნიშანზე, დამასრულებელ 2012 წელს თავს გამოავლენს გაორმაგებული ძალით.

### მაიას კალენდარზე, დიდ ციკლსა და 2012 წელზე

**მცირე ექსკურსი. საერთოდ საიდან გამოჩნდა ეს ყბადაღებული მაიას კალენდარი და რას წარმოადგენს ის? ბევრს მიაჩნია, რომ მაიას კალენდარი რაღაც თარიღების ტაბულაა, რომელიც მთავრდება 2012 წლით. არის ასეთი ხუმრობაც, თითქოს 2012 წელზე ინდიელ გადამწერელს მელანი გაუთავდა, ამიტომაც ეს თარიღი აღმოჩნდა ბოლო. სინამდვილეში კი მაიას კალენდარი თარიღების სია კი არა, არამედ დღეთა ანგარიშის სისტემაა, არავითარი დასაწყისი და დასასრული რომ არა აქვს, როგორც არა აქვს დასაწყისი და ბოლო სიტყვათა წარმოებასა და გამოთვლის წესებს, ამის ნაცვლად მაიას კალენდარში არის გასაშიფრი წერტილების რიგი, საიდანაც იწყება ათვლა.**

დროის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შუალედი მაიასთან არის ეგრეთ წოდებული 5200-წლიანი დიდი ციკლი. ინდიელი მისტიკოსები მას adარებენ პლანეტის რაღაც ფეხმძიმობას, რომლის ბოლოს დგება „მშობიარობა". მთავარი კი ისაა, რომ ასეთი „მშობიარობის" უახლოესი თარიღი არის 2012 წლის 21 დეკემბერი.

გასაგებია, რომ ნებისმიერი მშობიარობა ძნელი და საპასუხისმგებლო პროცესია, რომლის ძალითაც ციკლის დასასრულს ინდიელები უკავშირებდნენ მოსალოდნელ გლობალურ ცვლილებებს და ძვრებს, მშობიარობის ტკივილებს რომ ადარებდნენ. თუმცა ძნელი შესამჩნევი როდია, რომ „მშობიარობასა" და სამყაროს დასასრულს შორის, რასაც მაიას ტომებს მიაწერენ, უდიდესი განსხვავებაა. ჩვენ დრომდე დასრულდა სულ ცოტა ოთხი უდიდესი ციკლი, რის გამოც ჩვენსას ეწოდება მზის მეხუთე ეპოქა. ის კი სულაც არ არის უკანასკნელი.

ამას გარდა, „მშობიარობას" გააჩნია კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი. თუ კი თქვენთვის ცოტათი მაინც ცნობილია ეს პროცესი, მაშინ გეცოდინებათ, რომ მშობიარობის ზუსტი დღისა და საათის დასახელება არ შეუძლია არც ერთ ექიმს. შეიძლება მხოლოდ ლაპარაკი ყველაზე ახლოებელ ვადაზე — პლუს-მინუსით.

ყოველივე ეს კარგად იყო ცნობილი მაიას ქურუმებისთვისაც. სწორედ ამიტომ ციკლის დასასრული 2012 წლის 21 დეკემბერი „მშობიარობა" როდია, არამედ მხოლოდ რეპერული წერტილია, რომლის გვერდით ინდიელები მოელოდნენ წინასწარმეტყველური გლობალური გარდაქმნების დასაწყისს. მაგრამ სულაც არ არის ფაქტი, რომ ის სწორედ ამ დღეს მოხდებოდა.

უფრო მეტიც, ინდიელთა წიგნში „პოპოლ ვუხ" შეიძლება, ვიპოვოთ ნათქვამი იმაზე, რომ წინა უდიდესი ციკლი (რომლის დასასრული შედარებულია გრანდიოზულ „მზის ამოსვლასთან"ძ დასრულდა დიდი დაგვიანებით, ყველა ნიშანი და წინასწარმეტყველური თარიღი ყალბი აღმოჩნდა. წიგნში ნათქვამია, რომ ადამიანები ტიროდნენ, მიაჩნდათ რა, რომ შეცდნენ თავიანთ გათვლებში.

დიახაც, წინასწარმეტყველურ თარიღს — 2012 წლის 21 დეკემბერს რომ ველოდებით, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მომენტში დარეკავს კოსმოსური მაღვიძარა და დაიწყება რაღაც კატაკლიზმები, უფრო სწორედ, ამ დღეს საერთოდ არაფერი მოხდება და თუ მოხდება, კარგი იქნება, თუ ეს არ იქნება არავითარი სამყაროს დასასრული.

ავტორების საიტია
1001 goroskop.ru

მოამზადა
**ვალიკო სიმონიშვილმა**

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

2012 წლის 20-26 იანვარი

---

## ხსოვნა

# თეიმურაზ დოლიძე



ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით ეთხოვებიან ცენტრის ადმინისტრაციულ ხელმძღვანელს ბატონ თეიმურაზ დოლიძეს. მას უდიდესი ღვაწლი აქვს ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის ჩამოყალიბებაში, განვითარება-აღმშენებლობაში და ჩვენს ქვეყანასა და რეგიონში, ალერგიის დარგში, ერთ-ერთ საუკეთესო სამედიცინო დაწესებულების რეპუტაციის დამკვიდრებაში.

ბატონი თეიმურაზი იყო მაგალითი დიდი პროფესიონალიზმის, ინოვაციური აზროვნებისა და ამავე დროს საოცარი თავმდაბლობის, შრომისმოყვარეობისა და საქმისადმი უკიდურესი სიყვარულის. მუდამ მებრძოლი ვაჟკაცური სულითა და საოცარი პატიოსნებით, გულისხმიერებითა და ადამიანური ღირსებებით გამორჩეული პიროვნება იყო, ყველას მეგობარი და გვერდში მდგომი მთელი თავისი შედარებით არცთუ ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში. მისი წასვლა ჩვენთვის აუნაზღაურებელი დანაკლისია.

თანავუგრძნობთ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

ალერგიისა და იმუნოლოგიის
ცენტრის თანამშრომლები

პანაშვიდი 27, 28 I, 17 სთ. შიო მღვიმელის 13. გამოსვენება სიონის საკათედრო ტაძრიდან, 29 I, 14 სთ.

---

დედა ნანა, მეუღლე მაია გოთუა, შვილები ნანა, ალექსანდრე, და მაია, სიდედრი ლეილა მხეიძე, სიძე ზურაბ ფილფანი, გიორგი მერმანიშვილი, ცოლისდა თამარი, ცოლისძმა დევი, ქვისლი ნოდარ ლომიძე ოჯახით, რძალი ნინო ღვინაძე, დისწულები გიორგი, დემეტრე ფილფანები, დეიდა ნუნუ, დეიდაშვილები ეთერ და ლევან ბოჭოიძეები ოჯახებით, მეგი, დავით, თამარ სვანიშვილები ოჯახებით, მძახლები თამაზ, ქეთევან მერმანიშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თეიმურაზ დოლიძე**

პანაშვიდი 27, 28 I, 17 სთ. მისამართი: შიო მღვიმელის 13, გამოსვენება 29 I, კვირას სიონის საკათედრო ტაძრიდან 14 სთ.

---

ამირან გამყრელიძე და მარინე კვეზერელი-კოპაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის

**თემურ დოლიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

---



შვილი კოტე ქოჩიაშვილი, რძალი ნინო რამიშვილი, შვილიშვილები თორნიკე, მარი, სალომე, ძმა გურამი, რძალი დოდო გაბიძაშვილები, მული მარიეტა ქოჩიაშვილი, მძახალი რევაზ რამიშვილი, ძმისწულები გოჩა, კახა გაბიძაშვილები, რძალი იზო ხაჭალია, ბიძაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**გულნარა გაბიძაშვილი-ქოჩიაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28 I, 16 სთ. წერეთლის გამზირი №25. გამოსვენება 29 I, 14 სთ. საბურთალოს სასაფლაოზე (ჯიქიას ქუჩაძ.

---

ალეკო კაკულია, ამირან როგავა, ზურაბ კახნიაშვილი, ჟულიენ ბუბაშვილი, თამაზ ბერიძე, რაულ ოდიშარია, გურამ ჭაია თანაგრძნობას უცხადებენ სიყრმის მეგობარს ოთარ შენგელიას ძვირფასი დედისა და შესანიშნავი ქალბატონის

**მაგდა ჩოხელი-შენგელიას**

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქობულეთის რაიონის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე, დიდი სამამულო ომის მონაწილე

**რამიზ მამულაშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

## კროსვორდი



**თარაზულად**. 4. კვირის ერთ-ერთი დღე, არეასი (საბაძ. 7. ვინც იყო იოანე ქრისტეს მიმართ. 9. სუფრის, ნადიმის ხელმძღვანელი. 10. სპორტული შეჯიბრება სისწრაფეში (ველოსიპედით, ავტომობილითძ. 11. ზოდიაქოს ერთ-ერთი ნიშანი. 13. მარცვლეულის დაფქვის საზღაური მარცვლის ან ფქვილის სახით ძველად. 15. კეთილგანწყობილება, კარგი დამოკიდებულება სოციალურად მაღალ საფეხურზე მდგომისა (ქვ.ძ. 17. საკუთარი ღირსების გრძნობით გამსჭვავლული ადამიანი. 19. რამდენადაც შეფასდა კაცი, ათი ათასად შეფასებულ ზრდილობასთან შედარებით (ანდ.ძ. 21. სტიქიური აჯანყება. 22. შინაგანი არსი, რაობა, დედაარსი. 23. გველის შხამი. 26. წყალში მოხარშული ცომი. 28. შინაური ფრინველი. 29. გირაო სხვათა ენაა, ქართულად ... ჰქვიან (საბაძ. 30. წყლის ფრინველი. 32. ფოლადის ცივი იარაღი – „შენი ... და ჩემი კისერი“ (ძვ. გამოთქმაძ. 34. ცხენის, ვირის მიერ ტყუპად წიხლის კვრა. 35. შტერი, ჩერჩეტი (საუბ.ძ. 36. ძველებური ბურთის თამაში ერთგვარი.

**შვეულად**. 1. აბრეშუმის ძაფის, ოზოზას მიერ გამოყოფილი ძაფი. 2. „სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, ჩემი ... იქ არის“ (რ. ერისთავიძ. 3. ოქროს ან ვერცხლის ძაფი – ოქრომკედი. 5. კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ანსამბლი ისტორიულ ჯავახეთში, რომელიც აკურთხეს თამარის მეფობის დროს. 6. სიტყვა „ძნელის“ ანტონიმი. 8. პურეულიდან, ჭაჭიდან, ხილიდან გამოხდილი სითხე. 9. რასაც წარმოადგენენ მამები, შვილები, შვილიშვილები – როგორც შთამომავლობის თითოეული საფეხური. 12. როგორი სიმღერაა არია? 14. ის, რაც იწერება კინოსურათის დამთავრებისას. 15. გარკვეული წესით განლაგებული, ლამაზად შეხამებული, მოხდენილი (მაგ. სახე, კბილებიძ. 16. ადამიანი, რომელიც უარყოფს ღვთის არსებობას. 18. ხარების გამრეკავი. 20. დასაჯდომი ავეჯი (დგამიძ. 23. რასაც აშენებდნენ ბაბილონის მაცხოვრებლები. 24. მეღვინეთ უფროსი (საბაძ. 25. ახალი აღთქმის პირველი 4 წიგნი. 26. იგივეა, რაც ბაფთა. 27. შესანახად გამხმარი ხორცი. 31. საგანგებოდ დამჟავებული ბოსტნეული. 33. ქვეყანა, ქვეყნიერება, მსოფლიო (ძვ.ძ.

## 21 იანვარს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**თარაზულად**. 1. ბომარშე. 7. ბეკი. 9. ო' ჰარა. 11. ტალანტები. 12. ზეზვა. 13. ნათია. 14. ნუკრი. 15. რვალი. 16. ირემი. 17 ჩვენო. 18. მექი. 20. ვაისი. 22. ხილთა. 24. ჟიჟი. 26. რურუა. 27. ქარი. 28. პარმის. 29. ვაჟია. 30. ივანე. 32. ჭირსა. 35. ნათლია. 37. ლარინა. 40. არკადია. 41. ალისა. 43. ნაგომარი. 44. იანკო. 45. ისარი. 46. ფიქრმა.

**შვეულად**. 1. ბატატის. 2. მილდრედი. 3. რენანი. 4. ეტეოკლე. 5. ვოინიჩი. 6. ქართველი. 7. ბაზაროვი. 8. კუზიანი. 10. ყამირი. 18. მარსი. 19. ქარგა. 21. სურამი. 22. ხმალი. 23. ლამის. 24. ჟავერი. 25. ჟუჟუნა. 27. ქართვლის. 31. ვოლანდი. 32. ჭვავის. 33. რაკენი. 34. ანდრო. 36. ადა. 38. როგორ. 39. ნიმფა. 41. არის. 42. სარა.

## შეუცნობელი

# მატყუარა ბარონის სიმართლე

**კაცი თავს რომ მიარტყამს, განსაკუთრებით შუბლით თუ დაეჯახება რაღაცას, ისეთი შეგრძნება წარმოეშვება, თითქოს „თვალებიდან ნაპერწკლები გადმოცვივდა“. ამ გამოთქმას საუკუნეების მანძილზე ხმარობენ, მაგრამ, ალბათ, ძალიან ცოტაა ხალხი, რომელიც ამ ფენომენს რეალურად მიიჩნევს.**

– თუკი თვალებს დახუჭავთ და ხელებით ძლიერად მოისრესთ, შეიძლება კაშკაშა ლაქები, წერტილები, ნაპერწკლები და ფერადი ნათებები დაინახოთ, რომლებსაც ფოსფენებს უწოდებენ და თვალებზე უბრალო დაჭერითაც ჩნდებიან, – ასე ხსნიან, ჩვეულებრივ, ამ მოვლენის არსს ოფთალმოლოგები. – ადამიანის თვალის ნერვი ფიზიკურ ზემოქმედებას სხვადასხვა უცნაურ სახეებად გარდაქმნის. ამიტომ, როცა კაცი თავში ან თვალში დარტყმას მიიღებს, თვალწინ ნაპერწკლები წარმოესახება.

ერთია კია: რასპეს უკვდავი გმირი ბარონი მიუნჰაუზენი თავისი ერთ-ერთი „ნაღდი ამბის“ მოყოლისას ამბობს, **რომ თვალიდან ამოვარდნილი ნაპერწკლით სავსებით შეიძლება დენთისთვის ცეცხლის მოკიდება.** არადა, როგორც ჩანს, ბარონი მაინცდამაინც არც იტყუებოდა, ყოველ შემთხვევაში თანამედროვე მეცნიერებს მისი ნდობის სრული საფუძველი აქვთ.

**მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ ადამიანის ძვლებს პიეზოელექტრული თვისებები აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ დარტყმითი ზემოქმედების შედეგად მათ ელექტრონის გამომუშავება შეუძლიათ.** პროფესორმა სტივენ ჯონსტონმა კოლეგებთან ერთად გამოარკვია, რომ თავის ტვინის ძვლებს დენის გენერირების უნარი აქვთ. ამაზე დაკვირვება პროფესორს ბრძოლის ველზე გაკეთებულმა უცნაურმა დაკვირვებამ უბიძგა. უცნაურობა ის იყო, რომ ჯარისკაცებისგან ხშირად საკმაოდ შორ მანძილზე აფეთქებული ჭურვები ძლიერ კონტუზიებს იწვევდნენ. აღმოჩნდა, რომ ამის მიზეზი ის ელექტრობაა, რომელსაც თავის ქალა მექანიკური დაძაბულობის ზემოქმედებით გამოიმუშავებს.



მეცნიერის მიერ შედგენილი კომპიუტერული მოდელის მეშვეობით დადგინდა, რომ საკმაოდ სუსტი დარტყმითი ტალღაც კი თავის ტვინის ძვლებში ძლიერ პიეზოელექტრულ ეფექტს წარმოშობს. ამ ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილ დენს კი თავის ტვინის მუშაობის დარღვევა და, ზოგჯერ, მისი დაზიანებაც კი შეუძლია. ყველაზე გასაკვირი კი ის არის, რომ ელექტრული მუხტები ძირითადად თვალების გარშემო იყრიან თავს, ანუ „თვალებიდან ნაპერწკლების გადმოყრა“ ჩვენ არა მარტო ცრუ შეგრძნების დონეზე გვაქვს, მათ რეალური, ფიზიკური, უფრო ზუსტად კი ელექტრული საფუძველი აქვთ! ეს ისევე ხდება, როგორც პიეზოელემენტიან სანთებელაში. მაშ, რატომ არ შეიძლება წარმოვადგინოთ, რომ, გარკვეულ შემთხვევაში, თავის ქალის მიერ წარმოშობილი ნაპერწკალი თვალიდან მართლაც გამოვარდეს და დენთს ცეცხლი წაუკიდოს? მართალია, თვალიდან ნაპერწკლის გადმოვარდნა უდიდესი იშვიათობაა, მაგრამ სავსებით რეალური.

მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერებმა თავისი გამოკვლევის შედეგების შესახებ მოხსენება ბალტიმორში, ამერიკის აკუსტიკური საზოგადოების კონფერენციაზე გააკეთეს. ეს კი, ბატონებო, მეტად სოლიდური მეცნიერული გაერთიანების ძალიან სერიოზული ფორუმია.

**დალი ხუნდაძე**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები

საეკლესიო სკოლის მნათეს შვილი ერთდროულად შვიდი გოგოს ნაწნავებს ქაჩავს.

* * *

ნაჯახშემართული ჯალათი ეშაფოტზე დაწვენილს უყვირის:

– ნუ ტრიალებ, თორემ შეიძლება ნაჯახი აგაცდინო და ხელი მოგაჭრა!

* * *

– მე შენ მიყვარხარ! – ეუბნება პეტკა ფედკას.



– ყოჩაღ!

– შენ?

– მეც ყოჩაღ.

* * *

საჭიროა, რომ გვერდით მუდამ გყავდეს ადამიანი, რომელიც გეტყვის:

– ნუ განიცდი, მეც ასე მოვიქცეოდი!

* * *

მონადირენი ჯერ ტახზე სანადიროდ მიდიან, მერე იხვზეც არიან ყაბულს, ბოლოს კი კოღოებს ხოცავენ.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოჩულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24